# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 ნოემბერი 2005 №270 (2593) ფასი 50 თეთრი



**ბლექბერნი ხიზანიშვილს: დარჩი და გამოგისყიდი**

3



**რვანი დარჩნენ ქვეყანაზე**

გუშინ თასის 1/4 ფინალისტები გაირკვნენ

5-6



**ნიკორა: დაბერდი შენ ჩემო სტუ?!**

3

# იოჰან ბოსკამპი: ღრიალა ჰოლანდიელის მშვიდი «ჰო»





# კატანეცი და ფლორო რა გამოვა ამ საქმიდან?



საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ახალი უცხოელი მწვრთნელის მოძიების საქმეში ორი კანდიდატურის დოსიე დევს — სრეჩკო კატანეცის და ბენიტო ფლოროსი. მათთვის საქართველოს უპირველესი გუნდის გაწვრთნა ჯერ არ შეუთავაზებიათ, თუმც ეს მალე მოხდება — ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაცია.

42 წლის სლოვენიელი კატანეცის მიღწევებზე ახლა არ შევჩერდებით, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე სლოვენიის ნაკრების გამყვანი მწვრთნელი ბოლოს ქუვეითის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

რაც შეეხება ესპანელ ფლოროს, იგი 1994-96 წლებში მადრიდის „რეალს" წვრთნიდა, „ვილიარეალსა" და „მალიორკაშიც" მოუსინჯავს ძალა და ჩვენთვის საინტერესო ისიც უნდა იყოს, რომ ფლოროს აქეთ-იქით ხეტიალიც უყვარს — გაუწვრთნია მექსიკისა და იაპონიის კლუბებიც.

# ჩვენ გვჭირდება ქვქე

## როგორ დავნიშნოთ გიუნეში, რობსონი და შაამ

## სახელმწიფოებრივი, სახალხო და ქალაქური გზები







მომდევნო „სარბიელი" გამოვა პარასკევს, 25 ნოემბერს

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## A ჯგუფი

### ბაიერნი 4:0 რაპიდი

1:0 დაისლერი (21), 2:0 ქარიმი (54), 3:0, 4:0 მაკაი (72, 76)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (ლამი 63), დაისლერი, დემიკელისი, ქარიმი (გერერო 82), ზე რობერტო (შვაინსტაიგერი 46), მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

რაპიდი: პაიერი, კორსოში, ჰიდენი, ბეიბლი, კაცერი, ს. ჰოფმანი, ვალახოვიჩი (ს. მარტინესი 67), პლინკა (გარიში 80), ივანშიტცი (დოლინგერი 84), აკაგიუნდუზი, კინცლი

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

გაფრთხილება: ისმაელი, კინცლი, სანიოლი, ბეიბლი

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

66 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 1:0 ბრიუგე

1:0 დელ პიერო (80)

იუვენტუსი: აბიატი, ძამბროტა, ტურამი, კანავარო, კიელინი, კამორანეზი (მუტუ 81), ვიეირა, ემერსონი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (ზალაიეტა 84)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბრიუგე: ბუტინა, ბ. მარტენსი,. შპილარი, კლემანი (ენგლებერტი 51), ვანოდინერდი, ვერჰეინი, ვერმანტი, ი. ლეკო, გვოზდენოვიჩი (ლანგე 84), დუფერი (სერებრიანიკოვი 81), პორტილიო

მწვრთნელი: იან კულემანსი

გაფრთხილება: კლემანი, ძამბროტა

მსაჯი: რობ სტაილზი (ინგლისი)

6 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| ბრიუგე | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 6 |
| რაპიდი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:8 | 0 |

## B ჯგუფი

### აიაქსი 2:1 სპარტა

1:0, 2:0 დე იონგი (68, 89), 2:1 პეტრაში (90)

აიაქსი: შტეკელენბურგი, ტრაბელსი, გრიგერა, ვერმაელენი, ემანუელსონი, მადური, სნეიდერი, ლინდენბერგი (ნ. დე იონგი 53), პიენაარი, ანასტასიუ (როზენბერგი 62), ბუხარი

მწვრთნელი: დანი ბლინდი

სპარტა: ბლაჟეკი, პეტრაში, ლუკაში, პეტროუში, კადლეცი, პოშპეჩი, პერზანი (შიმაკი 85), ზელენკა (სლეპიჩკა 70), მაშეკი, პოლაჩეკი, დოშეკი

მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

46 158 მაყურებელი

### თუნი 0:1 არსენალი

0:1 პირესი (88პ)

თუნი: იაკუპოვიჩი, ორმანი, ჰოჯიჩი, დეუმი, გონსალვეში (ბერნარდინი 90), ნ. ფერეირა, მილიჩევიჩი, აეგერტერი, ლეანდრო, ფ. ადრიანო, ლუსტრინელი (ერენი 84)

მწვრთნელი: ურს შიონენბერგერი

არსენალი: ალმუნია; ებუ, სენდეროსი, კემპბელი, სიგანი (ლორენი 67), ლიუნგბერგი, ა. სონგი (ფაბრეგასი 57), ფლამინი, რეიესი, ანრი (პირესი 71), ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სიგანი, ლეანდრო, ლუსტრანელი, რეიესი, ლორენი, ფერეირა

გაძევება: დეუმი (35)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

31 330 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 15 |
| აიაქსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| თუნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

## C ჯგუფი

### ბარსელონა 3:1 ვერდერი

1:0 გაბრი (14), 1:1 ბოროვსკი (22პ), 2:1 რონალდინიო (26), 3:1 ლარსონი (71)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი (ბელეტი 74), ვან ბრონკჰორსტი, გაბრი (ინიესტა 77), ტ. მოტა, დეკო, ჟიული (ესკერო 65), რონალდინიო, ლარსონი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე (ჰუნტი 58), ნ. ვალდესი

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ფარენჰორსტი, მარკესი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

67 273 მაყურებელი

### პანათინაიკოსი 1:2 უდინეზე

1:0 ხარალამბიდისი (45), 1:1 იაკინტა (81), 1:2 კანდელა (83)

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, მორისი, კოციოსი, გუმასი, დარლასი, ხარალამბიდისი, ფ. კონსეისაო, ე. გონსალესი, ლეონტიუ (ტორშელე 83), პაპადოპულოსი (ანდრიჩი 64), მანციოსი

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, ობოდო, დ. ძენონი, მუნტარი (მაური 75), კანდელა, დი ნატალე (ბარეტო 62), დი მიკელე (როსინი 80), იაკინტა

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: ბერტოტო, იაკინტა, სენსინი, ძენონი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | 13 |
| უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |

## D ჯგუფი

### ლილი 0:0 ბენფიკა

ლილი: ტ. სილვა, ლიხტშტაინერი, ტავლარიდისი, შმიცი, ტაფორო, პალმე (მირალა 69), ბოდმერი, აჩიმოვიჩი (ფოვერჟი 87), მაკუნი, დერნისი, მუსილუ (აბუშერუანე 75)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

ბენფიკა: კიმი, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, რ. როჩა, ნელსონი, ბეტუ, პეტიტი, ლეო, მიკოლი (მანტორაში 44), ნუნუ გომეში

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: მაკუნი, ტავლარიდისი, შალმე

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

76 000 მაყურებელი

### მანჩესტერი 0:0 ვილიარეალი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი (გ. ნევილი 73), ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი (პარკი 53), ა. სმიტი (საა 82), სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ვილიარეალი: ბარბოსა, ხავი ვენტა, გ. როდრიგესი, პენია, არუაბარენა, როხერი (ექტორ ფონტი 66), ტაკინარდი (ხოსიკო 78), სენა, სორინი, ხოსე მარი, ფიგეროა (ხისკო 87)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: სილვესტრი, სქოულზი, ტაკინარდი, სენა, ვან ნისტელროი, ხოსიკო

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

67 471 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 5 | 1 | 4 | 0 | 2:1 | 7 |
| ლილი | 5 | 1 | 3 | 1 | 1:1 | 6 |
| მანჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| ბენფიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |



მანჩესტერი — ვილიარეალი: 0:0-ს ძვრა ვერც უეინ რუნიმ უყო

# რონალდინიომ შაბათიდან დაიწყო

ალესანდრო დელ პიეროს გოლმა „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა, ხოლო ბელგიური „ბრიუგეს" იმედები დაამსხვრია. A ჯგუფის ეს ამბავი წუხელ ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე" მოხდა. გოლი დელ პიერომ საკმაოდ გვიან, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის დასაწყისში რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, შეხვედრის სხვა ეპიზოდების აღწერას კი აქ თქვენი ნებართვით, არ შევუდგებით. ასე და ამგვარად, ბოლო ტურში „ბებერი ქალბატონი" შეეცდება, ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვოს, ხოლო „ბრიუგე" მესამე ადგილზე გავიდა და უეფას თასზეც გადაერთო.

ხოლო „იუვენტუსის" კონკურენტი პირველი ადგილისთვის ბრძოლაში იქნება მიუნხენის „ბაიერნი", რომელმაც ასევე დაიბევა ადგილი თექვსმეტეულში და საამისოდ ვენის „რაპიდს" 4:0 მოუგო.

ანგარიში სებასტიან დაისლერმა გახსნა, დაშავებული მიხაელ ბალაკის მაგივრად მოთამაშე ირანელმა ალი ქარიმმა მეორე შეაგდო და ამ ორს ორიც როი მაკაიმ დაამატა.

B ჯგუფში ასე მოხდა: „აიაქსმა" პრაღის „სპარტას" კარში გოლები მეორე ტაიმში გაიტანა, ორივე შეცვლაზე შესულმა ნაიჯელ დე იონგმა შეაგდო და თავისიანებს მერვედფინალში დაუბევა ადგილი. სპარტელთაგან საპასუხო გვიანი გოლი კაპიტანმა მარტინ პეტრაშმა შეაგდო, თუმცა ამის მეტი ჩეხებმა ველარაფერი მოახერხეს.

პირველ ადგილზე კი ასპროცენტიანი შედეგით „არსენალია", რომელმაც „თუნს" მისსავე მოედანზე მოუგო 1:0. ერთადერთი გოლი რობერ პირესმა პენალტით შეაგდო. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „არსენალის" საქმეს ხელი შეუწყო პირველსავე ტაიმში, 35-ე წუთზე არმან დეუმის გაძევებამ, თუმცა, მოდი, ნურც მასპინძლებს დავუკარგავთ იმას, რომ ორი გოლი გაიტანეს ლონდონელთა კარში, მაგრამ მსაჯმა ოფსაიდის მიზეზით არ ჩაუთვალა.

C ჯგუფისა ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბარსელონამ" ბრემენის „ვერდერს" 3:1 მოუგო. „კამპ ნოუზე" შეკრებილმა პუბლიკამ კიდევ ერთხელ ნახა თვალსასეირო, მაღალი დონის ფეხბურთი, ხოლო „ვერდერს" შანსის შესანარჩუნებლად ბოლო ტურში „პანათინაიკოსის" დამარცხება მოუწევს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ბარსას", უფრო სწორად კი ფენომენალურ რონალდინიოს, რომელსაც, რა ნოტაზეც მოუსწრო შაბათის „სუპერკლასიკოს" საფინალო სასტვენმა, წუხელ იმ ნოტიდან დაიწყო და მიაყოლა — პირველ და მესამე გოლებზე ასისტენტობა გასწია, მეორე კი თავად შეაგდო.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში გამოკვეთილად სუსტ „პანათინაიკოსს" „უდინეზემ" საბერძნეთში 2:1 აჯობა.

და ბოლოს D ჯგუფის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვით. „ლილმა" „სტად დე ფრანსზე" „ბენფიკასთან" 0:0 ითამაშა. მართალია, ფრანგულ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ, დახეთ ცხრილს და ნახავთ, რომ საწუწუნოც ჯერჯერობით არაფერი აქვს.

„ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს კი, ფაქტობრივად, საგოლე მომენტი არ ჰქონია — განაცხადა „ლილის" მწვრთნელმა კლოდ პუელმა.

უგოლოდ დასრულდა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ვილიარეალის" ნერვიული მატჩიც.

**ბაპუნა ძიდია**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XX ტური

კარდიფი 1:1 ბრაიტონი
ჰალი 1:1 საუთჰემპტონი
იფსვიჩი 0:3 რედინგი
ლიდსი 2:0 ბარნსლი
ლესტერი 2:2 უოტფორდი
ლუტონი 4:1 ძრიუ
მილუოლი 1:0 ნორსვიჩი
ქუინზ პარკი 0:2 პრესტონი
უენსდი 0:0 პლიმუთი
სტოკი 1:2 დერბი
ვულვერჰემპტონი 0:0 შეფილდი
კრ. პალასი 2:0 ქოვენთრი

### LDV VANS TROPHY. 1/16 ფინალი

ბარნეტი 0:3 *დონსი*
*კემბრიჯი* 3:2 დონკასტერი
*კარლაილი* 2:1 ბლეკპული
ჯილინგემი 2:2(პენ.1:3) *უიკომბი*
ჰერეფორდი 2:დდ.(1:1) პორტ ვეილი
მორეკემბი 0:1 *ბრედფორდი*
*პიტერბრო* 2:1 სუინდონი
როტერჰემი 1:2 *მაკლსფილდი*
*სუონსი* 4:0 რაშდენი
*ტრანმერი* 3:2 როჩდეილი
*უოლსოლი* 1:0 ბორნმუთი
უოქინგი — ჩელტენემი *ჩაიშალა*
ჰალიფაქსი — სკანთორპი *გადაიდო*

## იტალია

### სერია C1/A. გადადებული მატჩი

ჯენოა 1:0 სპეცია

## შოტლანდია

### II დივიზიონი. გადადებული მატჩი

ეარი 2:1 რეითი

### ასოციაციის თასი. II ეტაპი

ალბიონი 1:3 *პარტიკი*
ალოა — სელკირკი *გადაიდო*
სტენჰაუზმური — ისტ სტირლინგი *გადაიდო*

## პოლონეთი

### I ლიგა. გადადებული მატჩი

ვისლა 3:0 კრაკოვია

### თასის 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

პოგონი 2:1 *კუიავიაკი* (0:1)
პოდბესკიდზე 0:0 *პლოცკი* (0:3)

### თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

ლეხი 1:0 ოდრა

# მილიონიან ზღვარზე
## თუ დამიქახებთ, ჩამოვალ!



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ჩვენ** ვეძებთ მწვრთნელს, მაშასადამე, უცხოელს — ასეა ახლა ქართული ფეხბურთის საქმე, მაგრამ მწვრთნელს ამჯერად მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია არ ეძებს — ამ საკითხში ხელისუფლებაც აქტიურადაა ჩართული.

უკვე ოფიციალურადაა ცნობილი, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების მომავალი უცხოელი მწვრთნელისთვის თანხას საზიაროდ გაიღებენ სახელმწიფო და ფედერაცია, შესაძლოა, საქმეში ბიზნესმენებიც ჩაერთონ.

ხელისუფლება-ფედერაციას უკვე აქვთ რამდენიმე ვარიანტი, თუმც მოლაპარაკება ამა თუ იმ მწვრთნელთან ჯერ არ დაწყებულა — ასეთია ბოლო, კულუარული, მაგრამ უტყუარი ინფორმაცია.

მხოლოდ ფულით საქმეს არ ეშველება, მაგრამ ფინანსები რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ხელისუფლება-ფედერაციასაც მშვენივრად ესმით და უკვე ცნობილია ის თანხა, რომლითაც ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელი უნდა მოვიზიდოთ — უტყუარი კულუარული მონაცემებით, დამდეგი შესარჩევი ციკლისთვის მაქსიმალური ბიუჯეტი ერთი მილიონი დოლარია.

სხვათა შორის, ბერძნები ოტო რეჰაგელს თვეში 50 ათას ევროს უხდიდნენ, ანუ იმ ბიუჯეტში, რაც ჩვენ გვექნება, მშვენივრად ჯდებოდნენ. თუმც ისიცაა, რომ რეჰაგელის 50 ათასში არ ითვლებოდა პრემიები და ეგრეთ წოდებული „პადიომნი".

როგორც უნდა იყოს, ჩვენ ახლა კარგი მწვრთნელის ჩამოყვანის კარგი შანსი გვაქვს და ამის შესახებ თურმე იოჰან ბოსკამპსაც გაუგია.

ბოსკამპი საქართველოში ბოლოს შარშან გაზაფხულზე ჩამოვიდა ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან და კლუბ „თბილისთან" მოსალაპარაკებლად — წინასწარი გეგმით, ბოსკამპს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უნდა ემუშავა და იმავდროულად „თბილისშიც".

მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ბოსკამპის ვიზიტი ფუჭი გამოდგა. თუმცა თბილისში ყოფნისას ის კი აღნიშნა, ჩემთვის კვლავ რომ შემოეთავაზებინათ საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნა, ამას წინ ვერაფერი დაუდგებოდაო.

ბოსკამპი ახლა ინგლისურ „სტოკ სიტის" წვრთნის და ამ კლუბთან კონტრაქტი კიდევ წლინახევრით აკავშირებს, მაგრამ ჰოლანდიელი ყაბულსაა, განიხილოს „სტოკთან" კონტრაქტის გაწყვეტის ვარიანტი, თუ იქნება ოფიციალური შეთავაზება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში — ეს ჯერჯერობით კულუარული, მაგრამ რეალური ინფორმაციაა.

ბოსკამპის კანდიდატურის სასარგებლოდ კი რამდენიმე ფაქტორი მუშაობს...

**დავით თავართქილაძე**

FIFA
Coca-Cola
WORLD RANKING

ფიფა-კოკა-კოლას ახალ რეიტინგში საქართველო მეასე ადგილზეა, ანუ ოქტომბრის მაჩვენებელი ოთხი საფეხურით გააუმჯობესა.

ცხრილში საუკეთესო ოცეულის გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების შედეგებსაც გაგაცნობთ. საინტერესოა, რომ ამათ შორის საქართველო ზუსტად შუა, მერვე ადგილზეა...

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 840 | 19 | (24) | ხორვატია | 702 |
| 2 | (2) | ჰოლანდია | 797 | 20 | (19) | კოსტა რიკა | 700 |
| 3 | (4) | ჩეხეთი | 783 | 30 | (30) | რუსეთი | 671 |
| 4 | (3) | არგენტინა | 778 | 39 | (39) | უკრაინა | 636 |
| 5 | (6) | საფრანგეთი | 776 | 57 | (57) | უზბეკეთი | 581 |
| 6 | (5) | მექსიკა | 769 | 64 | (65) | ლატვია | 564 |
| 7 | (7) | აშშ | 768 | 70 | (71) | ბელარუსი | 559 |
| 8 | (8) | ესპანეთი | 764 | 81 | (81) | ესტონეთი | 535 |
| 9 | (11) | ინგლისი | 754 | 97 | (95) | ლიტვა | 475 |
| | (9) | პორტუგალია | 754 | 100 | (104) | საქართველო | 462 |
| 11 | (12) | თურქეთი | 743 | 108 | (107) | მოლდოვა | 441 |
| 12 | (13) | იტალია | 736 | 109 | (115) | სომხეთი | 437 |
| 13 | (10) | შვედეთი | 733 | 111 | (109) | თურქმენეთი | 415 |
| 14 | (14) | დანია | 730 | 114 | (114) | აზერბაიჯანი | 406 |
| 15 | (15) | გერმანია | 712 | 140 | (146) | ყაზახეთი | 320 |
| 16 | (16) | იაპონია | 711 | 143 | (140) | ტაჯიკეთი | 304 |
| 17 | (25) | ურუგვაი | 709 | 152 | (152) | ყირგიზეთი | 258 |
| 18 | (20) | საბერძნეთი | 706 | 114 | (114) | აზერბაიჯანი | 406 |
| | | | | 140 | (146) | ყაზახეთი | 320 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

# გოცირიძე ვიტ ჯორჯიაში?
## მამუკა ლომიძის ჩკალოვეცი ჩკა

**ქართველები** რუსეთის პირველ დივიზიონს ტოვებენ. გუშინ შევიტყვეთ, რომ 2003-04 წლების საქართველოს ჩემპიონმა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რევაზ გოცირიძემ ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი" დატოვა და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. გოცირიძე სწორედ იმ ტრიუმფალური სეზონის შემდეგ წავიდა რუსეთში, თუმც „კამაზის" ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდა და, დიდი შანსია, ზამთარში „ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდეს.


ბადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ გოცირიძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტან მამუკა ლომიძეს კი რუსულ „ჩკალოვეცთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. ლომიძე სეზონის წინ პრემიერლიგელი „როსტოვიდან" გადავიდა პირველდივიზიონელ „ჩკალოვეცში", თუმცა ახლა ახალი კლუბის ძიებაშია.

ჩვენებურისთვის „როსტოვიდან" წამოსვლა არცთუ იღბლიანი გამოდგა — პირველ დივიზიონში ძალიან იშვიათად თამაშობდა და, ბუნებრივიცაა, მხარეებმა ურთიერთობის გაგრძელება რომ არ ისურვეს.

**ქახა შალამბერიძე**

# ბლექბერნი ხიზანიშვილს: დარჩი და გამოგისყიდით


„ბლექბერნმა" ზურაბ ხიზანიშვილს (მარცხნივ) კონტრაქტი შესთავაზა

**ინგლისური** „ბლექბერნ როვერსის" უელსელმა მენეჯერმა მარკ ჰიუზმა 24 წლის ზურაბ ხიზანიშვილს კონტრაქტი შესთავაზა — ეს ცნობა გუშინ გავრცელდა ბრიტანული წყაროებით.

მიმდინარე სეზონი ახალი დაწყებული იყო, როცა შოტლანდიურმა „რეინჯერსმა" ხიზანიშვილი „ბლექბერნში" სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა. ზურამ ინგლისურ პრემიერლიგაში უკვე ცხრა მატჩი ითამაშა და ბლექბერნელებს თავი ისე მოაწონა, რომ მისი „რეინჯერსიდან" გამოსყიდვა სურთ, ხიზანიშვილი კი გლაზგოელებს კონტრაქტით 2008 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის.

მოკლედ, ხიზანიშვილი ახლა „ბლექბერნის" შეთავაზებას განიხილავს, თუმცა როგორც შევიტყვეთ, მატერიკიდანაც აქვს წინადადებები.

**ნიკა ჯორჯაძე**

# საიმედო და უხეში
## მიქაძე მენთეშაშვილს ბარათებით გაეჯიბრა

**ლატვიის** ჩემპიონატის ყველაზე საიმედო მცველად აღიარებული ლევან მიქაძე კიდევ ერთ ნომინაციაში „გამოირჩა" — ლიეპაიას „მეტალურგსის" ქართველი ჩემპიონატის ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელად დაასახელეს. მიქაძემ ამ სეზონში, ყვითლებზე რომ არაფერი ვთქვათ, სამჯერ გააძევებინა მსაჯებს თავი.

ბარათების რაოდენობაში კი საკმაოდ სოლიდური მარაგი აქვს სკონტოელ ზურაბ მენთეშაშვილსაც — 8 ყვითელი და 1 წითელი.

შეგახსენებთ, რომ პირველად ლატვიური ფეხბურთის ისტორიაში, „სკონტომ" ჩემპიონობა დათმო — ქვეყნის პირველი გუნდი ახლა „მეტალურგსია".

**ქახა შალამბერიძე**

# ქკქე

SOS! მას მერე, რაც გაიოზ დარსაძემ თანამდებობა დატოვა, საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა. იკარგება ძვირფასი დღეები და არის საშიშროება, რომ დაიკარგება ძვირფასი კვირებიც, ეს კი დაუშვებელია. საჭიროა, დაუყოვნებლივ მოვძებნოთ ეროვნული გუნდის ახალი მესაჭე, რადგან დროის ოპტიმალური განაწილება და გამოყენება ქართველთა საუკუნეებით ჩამოყალიბებული ეროვნული თვისებაა. ჩვენ სხვაგვარად ვერ მოვიქცევით და სწორედ ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, ოღონდ ვიჩქაროთ ნელა.

ფაქტია, ჩვენს ყოველ ნათქვამს კონკრეტული გეგმა და საქმე უნდა უმაგრებდეს ზურგს. ასეა? რა თქმა უნდა, ასეა და ამიტომაც ვაზუსტებთ, რას ნიშნავს ვიჩქაროთ ნელა. ეს საერთო ეროვნული საქმის აჩქარებას კი არა, დაჩქარებას, ანუ სწორ განაწილებას ნიშნავს. საქმის სწორი განაწილება, რაც ქართველთა საუკუნეებით გამომუშავებული ეროვნული თვისებაა, სხვაგვარად მოქცევის საშუალებას არ მოგვცემს და აკი არც გვაძლევს. ჩვენ უკვე ვდგავართ ფაქტის წინაშე: მწვრთნელს ეძებს ყველა, ვისაც ამ საქმესთან შეხება აქვს, ანუ უცხოეთში ნამყოფია და იქ საფეხბურთო წრეებთან ჰქონია შეხება. და სანამ სფფ-ის პრეზიდენტი (სფფ-ს გაშლით დაწერას ნუ მოგვთხოვთ, მაგის დრო არ არის ახლა), მგონი, გერმანიაშია, სადაც, მგონი, მწვრთნელს ეძებს, ჩვენ ყველანი ფართო ფრონტით შევუტევთ საქმეს.

ხოლო ის ხალხი, ვისაც უცხოელ სპეციალისტებთან აქვს ნაცნობობა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა ქართველი ფეხბურთელები არიან, რომელთაც მრავალ კლუბში უთამაშიათ და სიკეთე დაუთესავთ. ვინ შენოლ გიუნეშს იცნობს, ვინ იუპ ჰაინკესს, ვინ ლუის ვან გაალს, ვინ ფოლკერ ფინკეს, ვინ ბობი რობსონს, ვინ გაჯი გაჯიევს, ვინ მორტენ ოლსენს, ვინ დიკ ადვოკაატს, ვინ ჩეზარე მალდინის, ვინ კარლო ანჩელოტის... ეგ რა არის, ფედერაცია სულაც ფრანკო ფერარის იცნობს, მაგრამ ეროვნულ საქმეს მხოლოდ ფეხბურთელების მონადინება ვერ უშველის. ნურც ჩვენ მოვუხუჭავთ თვალს. განა, კარგად თუ დავფიქრდებით, თითოეულ ჩვენგანს არ შეუძლია მწვრთნელის მოზიდვა საქართველოს ნაკრებისთვის?

როგორ? ქართველებს საქმიანი, ლოგიკური აზროვნება საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ თვისებად გვექცა და სწორედ ამის მოშველიებით: განა თითოეული ჩვენგანი არ იცნობს საკუთარ დირექტორს, გამგებელს, ოფის-მენეჯერს და სხვა დიდ პიროვნებას, რომელიც თავის მხრივ იცნობს სამხარეო გუბერნატორს ან რომელიმე მინისტრს, რომელიც თავის მხრივ იცნობს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ იცნობს საზღვარგარეთის ქვეყნების პრეზიდენტებს, რომლებიც თავის მხრივ იცნობენ თავიანთ ქვეყანაში გამორჩეულ საფეხბურთო მწვრთნელებს, რომლებიც არიან კიდეც ის კაცები, რომელთაც ვეძებთ მთელი ქართველი ერი.

ჰოდა, ერთ მუშტად შევიკრათ, გარდანქეშნებო, ქუდზე კაცი დავძახოთ, როგორც ძველ დროში და გავაკეთოთ ის, რასაც სხვა არაფრისდიდებით არ გაგვიკეთებს. ჩვენ ეს ძალგვიძს!

**პაპუნა ძედია, ქართველი**

P.S. ამ სიტყვების ავტორს დიმიტარ პენევთან ჰქონია ოდესღაც ურთიერთობა და ბულგარეთში დასარეკად გაქცეულმა სათაურის განმარტებაც ვერ მოასწრო, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. იქ წერია: ქუდზე კაცი ქართველო ერო!



დიმიტარი და პაპუნა. სოფია, 1994 წელი

# როგორ დავნიშნოთ შენოლ გიუნეში




1. **სახელმწიფოებრივი დიპლომატიის გზა:** მიშა იცნობს სილვიო ბერლუსკონის — ბერლუსკონი იცნობს ფატიჰ თერიმს, რომელიც „მილანში" ჰყავდა მწვრთნელად — თერიმი იცნობს შენოლ გიუნეშს იმიტომ, რომ ორივენი თურქები არიან და თან ნაკრების მწვრთნელებადაც ყოფილან.

მიშა ეუბნება სილვიოს — სილვიო ფატიჰს — ფატიჰი შენოლს, შენოლი ჩამოდის.

2. **სახალხო დიპლომატიის გზა:** კახა კალაძე ეუბნება ადრიანო გალიანის — გალიანი თერიმს — თერიმი გიუნეშს. გიუნეში ჩამოდის

3. **ქალაქური გზა:** შოთა იცნობს გიუნეშს, ურეკავს, თურქულად ელაპარაკება და სარფის საბაჟოზე ვხვდებით.

# როგორ დავნიშნოთ სერ ბობი რობსონი




1. **სახელმწიფოებრივი დიპლომატიის გზა:** საქართველოს ჯარის სარდლობა ერაყში უკავშირდება ბრიტანეთის ჯარის სარდლობას ერაყში — ბრიტანეთის ჯარის სარდლობა უკავშირდება ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს — თავდაცვის სამინისტრო სპორტის სამინისტროს — სპორტის სამინისტრო ფეხბურთის ასოციაციას — ასოციაცია ბრიტანეთის საპენსიო ფონდს, რომელიც ატყობინებს, რომ სერ ბობიმ უარი თქვა ირლანდიის ნაკრების მწვრთნელობაზე.

2. **სახალხო დიპლომატიის გზა:** თემურ ქეცბაია იცნობს სერ ბობის და გოგა გახოკიძეც იცნობს სერ ბობის — ისინი ერთმანეთს ურეკავენ და მიდიან ინგლისში, სადაც ჩაიზე პატიჟებენ სერ ბობის და თან კონიაკი ჩააქვთ, რადგან იციან, რომ სმა უყვარს. კონიაკს კაფეს ადმინისტრაცია არ შეატანინებს, მაგრამ სერ ბობის შინ ატანენ, ის კი მაინც არ თანხმდება.

3. **ქალაქური გზა** არსებობს, მაგრამ ამასობაში მიშა ურეკავს იუშჩენკოს და იუშჩენკო ნიშნავს ლეონიდ ბურიაკს.

# როგორ დავნიშნოთ ემე ჟაკე




1. **სახელმწიფოებრივი დიპლომატიის გზა:** ეს გზა მოჭრილია, ვინაიდან მოხსნეს სალომე ზურაბიშვილი.

2. **სახალხო დიპლომატიის გზა** მოჭრილია, ვინაიდან მერაბ ჟორდანიას შეეძლო ეთხოვა მიშელ პლატინისთვის, თუმცა მერაბი არ სთხოვს მიშელ პლატინის, ასევე არაფერს იტყვის გია გურული.

3. **ქალაქური გზა:** კალაძემ უნდა სთხოვოს ჯორჯო არმანის, რომ მან იზრუნოს ემე ჟაკეს ჩაცმულობაზე და შეაპაროს ჩვენთან ჩამოსვლა. ამასთანავე, გადავუხადოთ 136 ათასი დოლარი მის უსაყვარლეს მოწაფეს ალენ ჟირესს და ვთხოვოთ, არ დაურეკოს მასწავლებელს სანამ მას ჯორჯო არმანი ელაპარაკება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დავით ყიფიანის თასი

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ახალგაზრდები მატარებლიდან ჩამოსვეს

## ლოკომოტივმა ვაკე ისანში გაიმეორა

თბილისი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ოლიმპი. 300 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 0:1 *ლოკომოტივი* (0:1)**

0:1 დ. ფოფხაძე (85)

*გ. ონიანმა ვერ გაიტანა პენალტი (84, ძელი)*

**თბილისი:** თევდორაძე, გ. ფოფხაძე, ვ. ქორიძე, თოფურია, ლილუაშვილი, ბერიძე, ფირანიშვილი (ვ. კვარაცხელია 83), ი. ვაშაკიძე, გიორგი იაშვილი (როსტომაშვილი 46), მ. ჯანაშია (კვასხვაძე 46), ბარაბაძე
*სათადარიგონი:* ალავიძე; ხოხონიშვილი, დარასელია, მიმინოშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ლოკომოტივი:** გ. ჭანტურია, საჯაია, გ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე, ინომოვი (დ. ფოფხაძე 68), ლ. ქებაძე, რ. ონიანი, კახელიშვილი (ფურთუხია 46), რამონი (ხარაძე 75), სირბილაძე
*სათადარიგონი:* ჩალაძე; ანესაშვილი, ჩივაძე, თავბერიძე
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)

**ინსპექტორი:** ს. კუტივაძე



დაჩი ფოფხაძის (მარჯვნივ) გოლმა „თბილისი“ თასს მიღმა დატოვა

კობა ინასარიძე

**ამ** წყვილის პირველი მატჩის ანგარიშმა საპასუხოს წინ საკმაო ინტრიგა კი დატოვა, მაგრამ გუშინდელი შეხვედრა იმდენად უინტერესო გამოდგა, „ოლიმპზე“ შეკრებილ მცირერიცხოვან ქომაგს მთლად მიავიწყდა, რომ „ლოკომოტივს“ ერთბურთიანი ფორა ჰქონდა. ფაქტი კი ისაა, რომ „თბილისი“ თასის გათამაშებას გამოეთიშა, თუმცა მთელი თამაში ისე მიდიოდა, ფრეს ნაღდად იმსახურებდა.

არადა, მატჩი საგოლე მომენტით დაიწყო: მასპინძელთა მცველები უხეშად შეცდნენ, ბურთი მეკარეს არა და არ დაუბრუნეს, სიტუაციის განმუხტვა ფინტებით სცადეს და კინაღამ დაისაჯნენ კიდეც — „თბილისის“ ბედად, დარტყმა ვერც „ლოკომოტივის“ შემტევებმა მოახერხეს, მეკარე რევაზ თევდორაძემ კი მცირე ტრავმა მიიღო.

„ლოკომოტივს“ არსად ეჩქარებოდა. მართალია, პირველი მატჩის შემდეგ სტუმართა უპირატესობა მინიმალური იყო, მაგრამ წლევანდელი შედეგების გათვალისწინებით, „თბილისისთვის“ ეს სხვაობაც ძნელი გასაბათილებელი ჩანდა. გიორგი დევდარიანის ახალგაზრდა შეგირდები ძალიანაც ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და საბოლოოდ მორიგ მარცხს ვერ გადაურჩნენ.

ისე, „თბილისს“ პირველ ტაიმში მართლაც შეეძლო საერთო ანგარიშის გათანაბრება: მასპინძელთა ფორვარდი ირაკლი ლილუაშვილი მეკარე გრიგოლ ჭანტურიას ცხვირწინ დაურჩა, საგოლედ იდეალური პოზიცია შეექმნა, მაგრამ.. ალბათ გამოუცდელობის ბრალი იყო, ირაკლიმ ტექნიკურს ძლიერი დარტყმა ამჯობინა და 7-8 მეტრიდან ბურთი კარს ააცილა.

პირველ ტაიმით, ეტყობა, ორივე მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა და შესვენებაზე სამი შეცვლაც გაკეთდა. მასპინძლებმა შუა ხაზი გააძლიერეს, სტუმრებმა მარცხენა ფლანგი. თამაშიც უფრო მწვავე და საინტერესო გახდა.

ბუნებრივია, „ლოკომოტივს“ აქცენტი დაცვაზე ჰქონდა, „თბილისი“ კი შანსს ელოდა. ჰოდა, მასპინძლებს ერთხელაც მიეცათ საგოლე შანსი და ისევ ვერ გამოიყენეს. გატანა რევაზ ბარაბაძეს შეეძლო, მაგრამ მიზანში ველარ მოარტყა. სამაგიეროდ, შეცვლაზე შესული დაჩი ფოფხაძის თავური გამოდგა ზუსტი, რომელიც მატჩის ბოლოსკენ ვნახეთ...

იქამდე კი გამოუყენებელი პენალტიც იყო: გიორგი ონიანის დარტყმული ძელს მოხვდა, მერე ბურთი აუტზე გადაგორდა და გოლიც ამის შემდეგ გავიდა. მასპინძლები თითქოს ერთიმეორის მიბაძვით შეცდნენ, შორეულ ძელთან კი ბურთს ფოფხაძე დაელოდა და გაიტანა კიდეც.

მეოთხედფინალისტის ვინაობაც აქ გაირკვა. ჭაბუკებით დაკომპლექტებული „თბილისი“ მთლად მოეშვა და სტუმრებსაც დარჩენილ დროში ორი-სამი ნაღდი მომენტი გაუცუდდათ.

# სწრაფი კი არა, სულ არაფერი

## გაგრამ და ამერმა გასატანი თბილისში გაიტანეს



„გაგრამ“ და „ამერმა“ ბევრი იძიძგილავეს და ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ

მუხრანი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური. 50 მაყურებელი

**გაგრა 0:0 *ამერი* (1:4)**

**გაგრა:** აბრამიშვილი, კუპრაშვილი (ტყეშელაშვილი 83), მგალობლიშვილი, ახობაძე, მამუკაშვილი, ავალიანი (მესხი 46), კობახიძე, აფრიამაშვილი, ჩველაძე, ი. ჯოხაძე, მეტრეველი
*სათადარიგონი:* გეგეშიძე, კუტალია, გოცირიძე, მაისურაძე, კირვალიძე
**მწვრთნელი:** რაჟდენ ტოგონიძე

**ამერი:** ნაჭყეპია, გ. კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (ბერიანიძე 83), დობროვოლსკი, დარსანია (სილაგავა 88), დეკანოსიძე, ა. კაიდარაშვილი (გ. ჩხეტიანი 80), სევასტოპულო, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი, გარუჩავა, წინამძღვრიშვილი, ჩიმაკაძე
**მწვრთნელი:** ნუგზარ ბოჯგუა

**გაფრთხილება:** ახობაძე (24)

**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი); ვ. ელისაბედაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

კოტე კეკელია მუხრანიდან

**მოსაყოლი** ბევრიც არაფერია. ამ წყვილიდან მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობა, თამამად შეიძლება ითქვას, პირველი მატჩის მერე გაირკვა, რომელიც „ამერმა“ 4:1 მოიგო.

მუხრანული მატჩის სცენარის წინდაწინვე გამოცნობა ძნელი არ ყოფილა. ისევ და ისევ გლდანური მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ „გაგრა“ სწრაფი გოლის გატანას და ამით ორრაუნდიანი დაპირისპირებისთვის ინტრიგის შენარჩუნებას შეეცდებოდა.

სწრაფი გოლი არ გამოვიდა. საერთოდაც, გაგრელებმა საზიფათო მომენტი რევაზ ნაჭყეპიას კართან მეოცე წუთამდე ვერ შექმნეს. მეოცეზე კი ზეიად მეტრეველი ფლანგზე გიორგი კვახაძეს გასცდა, მაგრამ კარში ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

რევაზ ნაჭყეპია გახსენეთ და, დავძინოთ, რომ წინა სეზონში „ამერის“ ძირითადმა გოლკიპერმა ამ სეზონში პირველად იიამაშა პირველ გუნდში.

ისე, სწრაფი გოლის გატანა „ამერს“ უფრო შეეძლო. ჯერ იყო და, კინაღამ კურიოზული გოლი გავიდა: გიორგი დეკანოსიძეს კუთხური უხეიროდ ჩააწოდა — ბურთი ვერ აწია, საჯარიმოში კი ბურთს რამდენიმე მოქნეული ფეხი ასცდა და ბოლოს „სოიოდ“ წოდებულმა ნოდარ მგალობლიშვილმა გამოიტანა კარის ხაზიდან.

აქედან ორ წუთში კი ძეკარე ლექსო აბრამიშვილის და დავით სევასტოპულოს ჭიდილში ბურთი სულიკო დავითაშვილს მიუვიდა, რომლის დარტყმული ზურაბ ახობაძემ გამოიტანა კარიდან.

„გაგრამ“ მეორე ტაიმის დასაწყისშიც ერთი გაიბრძოლა და ნაღდი მომენტი შექმნა — ლაშა კობახიძის ახლოდან დარტყმული ნაჭყეპიამ მოიგერია, რის მერეც მასპინძლებს თბილისელთა ვეტერანი მეკარე აღარ შეუწუხებიათ და მატჩიც უგოლოდ დასრულდა.

# დავით ყიფიანის თასი

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები



„ვიტ ჯორჯიასთან“ გუშინდელ მატჩში „ტორპედომ“ „სიონისთვის“ შეინახა ძალები

# მთავარია ბოლნისი

## გოლკიპერმა გოლეადორობა სცადა

ქუთაისი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 0:5 *ვიტ ჯორჯია* (0:1)

0:1 გველესიანი (17), 0:2, 0:3 ბერიაშვილი (28, 52), 0:4 სახოკია (60), 0:5 ბერიაშვილი (81)

*რევიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)*

| | |
|---|---|
| ტორპედო: რევიშვილი, ებრალიძე, ორმოცაძე, რატი ბარაბაძე, მაღლაკელიძე, ფესტვენიძე (ა. ფოფხაძე 46), დოლონაძე, ბურჯანაძე (კ. შალამბერიძე 46), ჯაში (ჭელიძე 46), ქურციკიძე, მდივნიშვილი *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ბზიკაძე, ა. კვერნაძე, გორგოძე მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი (მიქაბერიძე 59), კობიაშვილი, ა. კვახაძე, ფეიქრიშვილი, ლ. რაზმაძე (ქუხილავა 55), დიღმელაშვილი (ჯაფარიძე 46), ბ. დათუნაიშვილი, გველესიანი, გ. დათუნაიშვილი, ბერიაშვილი, ზ. სახოკია *სათადარიგო:* არავინ მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

ინსპექტორი: ს. კვარაცხელია; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

**„ტორპედოს“** მცხეთაში მინიმალური სხვაობით დამარცხება ქუთათურ გულშემატკივარს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა, თუმცა რევაზ ბურკაძემ ბოლნისის „სიონთან“ საჩემპიონატო მატჩისთვის ძალები დაზოგა, მოედანზე სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა და მატჩის ბედიც წინასწარვე გადაწყდა.

პირველმა ტაიმმა „ვიტ ჯორჯიას“ სრული უპირატესობით ჩაიარა. ტორპედოელებმა მხოლოდ 17 წუთი გაუძლეს სტუმართა შეტევებს. მერე კი საჯარიმოს გარედან ოლეგ გველესიანის არცთუ ძლიერი დარტყმული მეკარემ ვერ შეიმაგრა და ბურთი კარში შევარდა — 0:1.

დაახლოებით ათ წუთში გიორგი ბერიაშვილმა ზაზა სახოკიას გადაცემა შეიშნო, მცველი გიგა ორმოცაძე და მეკარე ნუკრი რევიშვილი ერთმანეთის მიყოლებით მოატყუა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

ტორპედოელებმა პირველად 42-ე წუთზე შეუტიეს მეტოქის კარს, როცა გიგა ბურჯანაძემ შორიდან სცადა გატანა, თუმცა ბურთი გრიგოლ ბედიაშვილის იოლი ნადავლი გახდა.

შესვენების შემდეგ მოედანზე სურათი დიდად არ შეცვლილა. 52-ე წუთზე ბერიაშვილი დრიბლინგით შეიჭრა „ტორპედოს“ საჯარიმოში და მეორედ დალაშქრა რევიშვილის კარი — 0:3.

მე-60 წუთზე სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიტანეს. პირველი გოლის ავტორმა გველესიანმა ამჯერად სახოკიას გაუწია ასისტენტობა — 0:4.

ლამაზი გოლი გამოვიდოდა, გიორგი დათუნაიშვილს რომ გაეტანა მაკრატელათი, მაგრამ მისი დარტყმული რევიშვილმა ნახტომით მოიგერია.

მასპინძლებს შეეძლოთ, ერთი გოლი გაეტანათ: 77-ე წუთზე აკაკი ქუხილავას საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და პენალტი დაინიშნა. მისი შესრულება „ტორპედოს“ გოლკიპერმა ნუკრი რევიშვილმა ითავა, თუმცა უშედეგოდ — შეცვლაზე შესულმა არდალიონ მიქაბერიძემ აულო.

მატჩს წერტილი ისევ და ისევ ბერიაშვილმა დაუსვა, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა.

მატჩის დასასრულს კი ქუთაისელმა გულშემატკივრებმა თბილისელი ფეხბურთელები ტაშით გააცილეს.



არდალიონ მიქაბერიძემ კოლეგა ნუკრი რევიშვილს პენალტი აულო

# მსაჯი გაეჩხირა, დინამო — არა

საჩხერე. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 5 000)

### ჩიხურა 0:2 დ.დ. *დინამო* (0:0)

0:1 დვალიშვილი (95), მეგრელაძე (97)

| | |
|---|---|
| ჩიხურა: დოლაძე, მგელაძე, ვ. თურმანიძე, სამხარაძე, ბრეგვაძე, შუკაკიძე, ქირია, გ. ილურიძე (ჭილაძე 100), სეფერთელაძე, დ. გოდერძიშვილი, მიქაძე (ხაჭიპერაძე 70; გოგოლაძე 96), *სათადარიგონი:* მეგრელიშვილი; პეტრიაშვილი, ლომინაშვილი, როსტიაშვილი მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე | დინამო: გრიშიკაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე, ორბელაძე, ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი (ჩირიკაშვილი 70), ნავალოვსკი (გ. ჭელიძე 67), ბობოხიძე (სახვაძე 96), მეგრელაძე, დვალიშვილი, *სათადარიგონი:* სტურუა; გ. თომაშვილი, ფირცხალავა, ბოლქვაძე მწვრთნელი: კახა ცხადაძე |

გაფრთხილება: ილურიძე (3), ჩირიკაშვილი (99)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი)

ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე; დირექტორი: ო. კორღალიძე



„ჩიხურა“ „დინამოს“ მატჩმა საჩხერეში დიდი ინტერესი გამოიწვია

**ნუკრი ლოლაძე საჩხერიდან**

**მატჩი** 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რისი მიზეზიც მსაჯ მერაბ მალალურაძის დაგვიანება იყო...

მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და 5000 მაყურებელი დაესწრო.

მინდვრის საფარი უკეთესის სურვილს კი ტოვებს, მაგრამ მატჩი მაინც სანახაობრივი გამოვიდა.

პირველი ლიგის ლიდერმა „ჩიხურამ“, პირველი მატჩის მსგავსად, ამჯერადაც დიდი ბრძოლა გაუმართა „დინამოს“.

ძირითადი დროის პირველ ნახევარში თუ რამ ხიფათი შეიქმნა „დინამოს“ კართან, თითქმის ყველაში მონაწილეობდა დავით ქირია, რომელმაც რამდენჯერმე სოსო გრიშიკაშვილი გადაახტუნა, ერთხელ კი კანფეტივით პასი დაუხატა დავით გოდერძიშვილს, მაგრამ...

სტუმრებმა რამდენიმე ნახევარმომენტი შექმნეს, თუმცა ხან მცველები ყოჩაღობდნენ, ხანაც მეკარე იდგა საიმედოდ.

სახიფათო მომენტები მეორე ტაიმში უფრო იყო. ჯერ ლაშა ნოზაძემ დაარტყა შორიდან, მერე გია მეგრელაძემ შეასრულა სახიფათო საჯარიმო.

დვალიშვილმა კი ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წუთით ადრე სულაც ხარიხა შეაზანზარა.

ყველაფერი დამატებით დროში გადაწყდა: 95-ე წუთზე „დინამომ“ „ჩიხურას“ მაინც გაუტანა — ნაკუთხურალს ბურთს უმეთვალყურეოდ დარჩენილმა დვალიშვილმა თავური მიაყოლა და 0:1.

ორ წუთში ისევ შეცდნენ „ჩიხურას“ მცველები და მეგრელაძემაც იხეირა — 0:2.

*კახა ცხადაძე:* საჩხერის „ჩიხურა“ ახლავე იმსახურებს უმაღლეს ლიგაში თამაშს. ჩვენ პირველი მატჩის შემდეგ ვიცოდით, რა ბრძოლაც მოგვიწევდა აქ. ეს გუნდი აუცილებლად გადმოვა უმაღლესში და ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

*ბადრი ბრეგვაძე:* „დინამო“ მაინც „დინამოა“... ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ, თბილისის „დინამოს“ კი წარმატებებს ვუსურვებ.

ზესტაფონი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

### *ზესტაფონი* 3:1 სპარტაკი (4:0)

0:1 ჯანგიძე (13), 1:1 ბ. გოცირიძე (63), 2:1 ნუდნი (86), 3:1 ჯანელიძე (87)

ახალციხე. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

### მესხეთი 1:1 *სიონი* (0:2)

0:1 ავალიანი (22), 1:1 ტოკლიკიშვილი (90)

ფოთი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ფაზისი

### *კოლხეთი* 1:0 ბათუმი (2:0)

1:0 წიქარიშვილი (37)

თბილისი. 22 ნოემბერი. 13 საათი. ოლიმპის სკოლა

### სოხუმი 1:2 *ბორჯომი* (0:2)

0:1 ა. ბურნაძე (383), 1:1 მამფორია (82), 1:2 გ. ქორიძე (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ მოკვდეთ ჩემსავით

## მომაკვდავი ბესტის სიტყვები

უკანასკნელ 24 საათში კრომველის ჰოსპიტალში მწოლიარე ჯორჯ ბესტი არც გონს მოსულა და არც უკეთესობა დატყობია. კვირას პროფესორი როჯერ უილიამსი ამბობდა, რომ გადამწყვეტი სწორედ ის 24 საათი იქნებოდა და 54 წლის დიდ ფეხბურთელს მისი ორგანიზმი უნდა დახმარებოდა. ახლა კი პროფესორი ამბობს, რომ ჯორჯი უმძიმეს მდგომარეობაშია. ნათესავები და მეგობრები მის პალატასთან მორიგეობენ, ბესტი სიცოცხლის აპარატზეა მიერთებული.

ბოლოჯერ ის ცუდად პარასკევს შეიქნა, როცა ფილტვიც გაეთიშა. ოქტომბრის დასაწყისიდან ავადმყოფი კრომველის კლინიკაშია, სადაც საგრიპო ინფექციამ მიიყვანა, მერე კი თირკმელიც წაუხდა. სამი წელიწადია, ბესტი ხელოვნური თირკმელით ცხოვრობს.

ახლა მას ინტენსიური თერაპია სჭირდება, რათა გაატანოს. აპარატის გამორთვის შემთხვევაში, ჯორჯ ბესტი გარდაიცვლება. თუმცა, მისი ტვინი მუშაობს და პროფესორი მაინც იმედოვნებს, რომ ეგებ თერაპიამ რაიმე შედეგი გამოიღოს.

სხვანაირად — ჯორჯი მიდის...








ალექს ფერგიუსონმა მანჩესტერელებს როი კინი შეახსენა

# ოლაფ მარშალს ვოლფი გაუხარდა

„კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელად ვოლფგანგ ვოლფი დანიშნეს. მან მიხაელ ჰენკე შეცვალა, რომელიც გასულ უქმეებზე, „ნიურნბერგთან" საშინაო მარცხის (1:3) გამო გაათავისუფლეს.

თავის მხრივ, ვოლფი ორი კვირის წინ „ნიურნბერგიდან" გაუშვეს, მაგრამ დიდხანს უქმობა არ მოუწია. ვოლფმა „კაიზერსლაუტერნთან" კონტრაქტი 2008 წლამდე გააფორმა და კლუბში იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუ გუნდი სეზონის ბოლოს ბუნდესლიგას დატოვებს.

48 წლის ვოლფგანგ ვოლფს ფეხბურთელობისას „ლაუტერნის" მაისურით 248 მატჩი უთამაშია და კარიერა 1988-ში დაასრულა.

„მოხარული ვარ, რომ სწორედ იმ კაცს ჩავაბარე გუნდი, რომელიც ყველაზე მეტად გვსურდა" — თქვა კლუბის მენეჯერმა ოლაფ მარშალმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




ვოლფგანგ ვოლფი და ოლაფ მარშალი

# ფერგიმ როის სული მოიხმარა

ორშაბათ საღამოს კარინგტონის ბაზაზე ნისლში ვარჯიშის შემდეგ, სერ ალექს ფერგიუსონმა მოუწოდა „მანჩესტერის" ფეხბურთელებს „ვილიარეალს" ისე დაუხვდნენ, რომ მოედანზე როი კინის სული და განწყობა ტრიალებდეს.

როგორ გამოუვიდა ეს საქმე მის გუნდს, წუხელ ყველა ნახავდა, სერ ალექსი კი პარასკევს დათხოვილი კაპიტანის ქება-დიდებასა და დარდიან ლაპარაკებს მოჰყვა: ეს ერთ-ერთი უმძიმესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაშიო. „მანჩესტერ" — „ვილიარიალის" სამატჩო პროგრამაში ფერგიმ წერილობითაც კი მიმართა ფანებს: „ყოველთვის სევდის მომგვრელია, როცა დიდი ფეხბურთელი ტოვებს გამარჯვებათა სცენას, მაგრამ ფეხბურთი ხომ ერთ ადგილას არ დგას. მე ვიცი, რომ ამ გადამწყვეტი მატჩის წინ როი სანიმუშო იქნებოდა და მაგალითსაც მისცემდა სხვებს. ჩვენი გულშემატკივრების ხასიათი ცნობილია. ეს ისტორიულად მოგვდგამს. 1950 წელს, როცა მიუნხენის ტრაგედია დატრიალდა, გუნდი მაინც გავიდა ასოციაციის თასის ფინალში. მკერდზე კი ყველას ფენიქსი ეხატა, რადგან ჩვენს კლუბს მკვდრეთით აღდგომა ძალუძს".

ფერგიუსონმა 1990 წლის თასის განთქმული ფინალიც გაიხსენა, როცა მისმა გუნდმა „ნოტინგემ ფორესტს" მოუგო. მენეჯერი ამ მატჩს ფანების მოგებულად თვლიდა.

„ვილიარეალთან" მატჩი გადამწყვეტი იყო. ამბობდნენ, რომ თუ ამ მატჩს წააგებდა, სერ ალექსი სამსახურს დაკარგავდა. თანაც, „მანჩესტერი" პირველად გავიდა „ოლდ ტრეფორდზე" კინის დათხოვნის შემდეგ. კინი კი იქ ღმერთი იყო. ფერგი უკვე გაშვებული ლეგენდის გამოყენებასაც ამიტომ ცდილობდა.

„როცა ასეთ ცვლილებებს ახდენ, მიზანი ერთია, გუნდი უკეთესი უნდა გახდეს. ამაში დარწმუნებული უნდა იყო. ერთი კლუბის დიდხანს მენეჯერობის საშინელება ის არის, რომ დიდი ფეხბურთელები შენს თვალწინ ბერდებიან. ამიტომ გადაწყვეტილებების მიღება გიწევს, თან სწრაფად. 1999 წლის გუნდი მარადი ვერ იქნება" — თქვა მენეჯერმა.

ფერგიმ უარყო, თითქოს კინის გაშვება შიდაკლუბურ საქმესთან იყო დაკავშირებული, მენეჯერსა და მის მარჯვენა ხელთან დაპირისპირებასა და ფეხბურთელებთან ჩხუბთან. თუმცა ამ უარყოფისა არავის სჯერა.

როი კი წუხელ თავის მომავალს არკვევდა: ტელეფონით ელაპარაკა „იუვენტუსს", მაგრამ „იუვემ" უარყო, თითქოს კინის შეძენას აპირებდეს. „იუვენტუსმა" განაცხადა, რომ ფეხბურთელებს არ დაეძებს.

მგონი, „სელტიკის" ჯერი დადგა, რომელსაც როიმ უთხრა, იაფად ვერ მიმიღებთო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## E ჯგუფი

### შალკე — პსვ ეინდჰოვენი

გელზენკირხენი. „აუფშალკე არენა“. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ჰაიმეროტი, ალტინტოპი, ბორდონი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, კ. პოულსენი, ლინკოლნი, ერნსტი, ასამოა, კურანი, კობიაშვილი

გომესი, რაიციგერი, ოიერი, ალექსი, ლამეი, აისატი, სიმონსი, კოკუ, აფელაი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი

### ფენერბაჰჩე — მილანი

სტამბოლი. „შუქრუ სარაჯოღლუ“. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ვოლქანი, უმით ოზატი, სერვეთი, ალექსი, დენიზი, აპია, სელჩუკი, სერქანი, ნობრე, ანელკა, თუნჯაი

დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

## F ჯგუფი

### რუსენბორგი — ოლიმპიაკოსი

ტრონდჰეიმი. „ლერკენდალი“. მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)

ე. იონსენი, ბასმა, რისეტი, სტენსაასი, კვარმე, სოლი, ვინსნესი, ბერგი, სტრანდი, ფ. იონსენი, ჰელსტადი

ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, კოსტულასი, კაპსისი, შურერი, კაფესი, პ. ჯორჯევიჩი, გეორგატოსი, რივალდო, კონსტანტინუ, დანი

### რეალი — ლიონი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

კასილიასი, სალგადო, სერხიო რამოსი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, პაბლო გარსია, გუტი, ზიდანი, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო

კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, ბერტოდი, მ. დიარა, ტიაგუ, ჟუნინიო, გოვუ, კარეუ, მალუდა

# დაბრუნება სტამბოლში

„მილანი“ სტამბოლს ჩავიდა, იქ, სადაც ექვსი თვის წინ „ლივერპულთან“ დაუვიწყარ ფინალში „ათა თურქზე“ დამარცხდა. ოღონდ ამჯერად მილანელებს „შუქრუ სარაჯოღლუზე“ კრისტოფ დაუმის „ფენერბაჰჩე“ უმასპინძლებს.

ამ სტადიონზე გასულ ოთხშაბათს შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელებს გაავებულმა თურქმა ფანებმა ნაირგვარი საგნები ესროლეს, რის გამოც კარლო ანჩელოტიმ თავის შეგირდებს ხუმრობით უთხრა, ჩაფხუტების დახურვა მოგიწევთო.

თურქულ-შვეიცარიული ჩხუბის შემდეგ ოსმალები დაშოშმინდნენ და მილანელებთან ომს არ აპირებენ. „ფენერის“ ვიცე-პრეზიდენტმა მურატ ოზაიდინლიმ თქვა, იტალიელებს აეროპორტში ყვავილებით დახვდებითო.

„შავ-წითლები“ ამ სეზონში ძველებურად ველარ ყოჩაღობენ. „ფიორენტინასთან“ მარცხმა სერია A-ში გუნდი „იუვენტუსს“ ისევ ხუთი ქულით ჩამოარჩინა. ჩემპიონთა ლიგაში მესამეზეა და დღეს „ფენერთან“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ბრძოლა ელის. ჯგუფში ისეთი ვითარებაა, რომ ორი ტურით ადრე მერვედფინალში გასვლის შანსი ყველას აქვს.

თურქთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა განაცხადა: „ფენერბაჰჩეს“ შინ ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეუძლია. ჩვენ სავსე სტადიონი გვიქომაგებს და ეს მატჩი უნდა მოვიგოთ“.

მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან მხოლოდ ბრაზილიელი მცველი ალექსი ჰყავთ ტრავმირებული, თუმცა სადღეისოდ ექიმმა ეგებ მოაფერიანოს — ალექსი გუნდის ჯიგარი და დაუმის ჯილაა.

რაც შეეხება „მილანს“, მარჯვენა მცველი მარკოს კაფუ „ფიორენტინასთან“ მატჩის მეორე ტაიმში დაშავდა. მას სავარაუდოდ, დარიო შიმიჩი შეცვლის. 39 წლის ალესანდრო კოსტაკურტას ვარიანტიც განიხილებოდა, მაგრამ მან ანჩელოტი გააბრაზა, რადგან ტელეინტერვიუში მწვრთნელზე ცუდი ილაპარაკა. იაპ სტამი კი დისკვალიფიცირებულია.

„ფენერბაჰჩემ“ იტალიურ კლუბებთან ცხრა მატჩიდან რვა წააგო, ხოლო „მილანმა“ სტამბოლში სამჯერ ითამაშა თურქულ გუნდთან და ორჯერ დამარცხდა.

„პსვ ეინდჰოვენს“ გერმანიაში გამართული თორმეტი მატჩიდან ერთიც არ მოუგია. გუს ჰიდინკის გუნდს, ცხადია, ნავსის გატეხვა სურს. წინა გათამაშების ნახევარფინალისტი ჯგუფში პირველ ადგილზეა და დღეს „შალკეს“ თუ სძლიეს, მერვედფინალს გაინაღდებენ.

გუს ჰიდინკი იმედოვნებს, რომ ფილიპ კოკუ გრიპს თავს დააღწევს და კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. კოკუს გარეშე პსვ-მ ჩემპიონატში „ვალვაიკს“ ვერ მოუგო (4:4). ეინდჰოვენელებს ჯონ დე იონგი და დამარკუს ბისლი ტრავმის გამო დააკლდებათ.

„შალკეს“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა „კიოლნთან“ 2:2-ის შემდეგ თქვა: „ჩემ ფორვარდებს სიზუსტე აკლიათ. ლინკოლნმა სამი მომენტი დააფუჭა, არადა, მსგავს მომენტებს ვარჯიშზე თვალდახუჭულიც კი იყენებს“.

„ხუმარებს“ ჯერალდ ასამოა გამოაკლდათ, რომელმაც ორთვიანი შესვენების მერე ითამაშა. მარჯვენა მცველი რაფინია დაშავებულია და მის ადგილს ჰამიტ ალტინტოპი დაიკავებს. მეკარე ფრანკ როსტიც სამკურნალოა და კარში კრისტოფერ ჰაიმეროტი ჩადგება. ლევან კობიაშვილმა კი ყვითელი ბარათი თუ მიიღო, ბოლო ტურის მატჩს გამოტოვებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:3 | 7 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |



AFP სტამბოლიდან

კარლო ანჩელოტის და „მილანს“ თურქები ყვავილებით დახვდნენ



AFP მადრიდიდან

ვანდერლეი ლუშემბურგო ურუგვაელ პაბლო გარსიას „რეალის“ ნახევარდაცვას ჩააბარებს

# ეს ჩვენი თექვსმეტიანეზი

ჯერ ზოგადად მიმოვიხილოთ მდგომარეობა F ჯგუფში და სხვა წვრილმანებზე მერე ვილაპარაკოთ. მდგომარეობა ასეთია: „ლიონი“ და „რეალი“ უკვე იმ თექვსმეტს შორის არიან, ტიტულისთვის ბრძოლას რომ აგრძელებენ. დღეს ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

იმისთვის, რომ ჯგუფური ტურნირი პირველ ადგილზე დაამთავროს, ამ შეხვედრის სტუმარ „ლიონს“ ფრეც აძლევს ხელს. რაც შეეხება მესამე ადგილის ანუ უეფას თასზე გამსვლელის ამბავს, საამისოდ „რუსენბორგს“ „ოლიმპიაკოსთან“ სულ მცირე, ფრე სჭირდება.

ასე და ამგვარად, ამ ჯგუფში წამსვლელ-დამრჩენების ვინაობა შესაძლოა, დღესვე გაირკვეს და ბოლო ტური, რომელიც ორი კვირის მერე გაიმართება, ფორმალობად იქცეს.

ახლა კი დაპირებულ წვრილმანებზე გადავიდეთ და თუ ეს წვრილმანთა კატეგორიას განეკუთვნება, გავიხსენოთ, რომ პირველ შეხვედრაში საფრანგეთის ჩემპიონმა მადრიდელებს არც მეტი, არც ნაკლები, 3:0 მოუგო. გოლები იონ კარეუმ, ჟუნინიო პერნამბუკანომ და სილვენ ვილტორდმა გაიტანეს.

მაგრამ „რეალმა“, რომელსაც დღეს დაშავებული რაული არ ეყოლება, „ლიონთან“ წაგების შემდეგ ზედიზედ სამი თამაში მოიგო და, როგორც ზემოთ გითხარით, მერვედფინალშია. ისე კი, რა მაგის პასუხია და, შარშანდელი პირველი თამაშიც 0:3 წააგო „რეალმა“, ოღონდ მაშინ ლევერკუზენის „ბაიერთან“.

მაგრამ არის ერთი გარემოებაც, რომელიც რაკიღა 0:3-ებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს. ალბათ, მიხვდით, საუბარია გასული შაბათის დრამაზე, რომელიც მადრიდელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაუტრიალდათ — „რეალმა“ „ბარსელონასთან“ სწორედ 0:3 წააგო და თან ისე, რომ ეს გუნდი მოედანზე იყო თუ არა, მარადიულ გამოცანად დარჩა.

რას ნიშნავს ეს? იქნება ეს საშინელი მარცხი „სამეფო გუნდისთვის“ გამომაფხიზლებელია თუ პირიქით, „თეთრები“ დაითრგუნებიან, ვფიქრობთ, დღეს საღამოსვე გამოჩნდება.

ხოლო „რუსენბორგისა“ და „ოლიმპიაკოსის“ დაპირისპირების წვრილმანები ასეთია: ნორვეგიულმა გუნდმა ერთი ხნის წინ შიდაჩემპიონატში ზედიზედ მე-14 ტიტული გაუშვა ხელიდან და, ბუნებრივია, ევროსარბიელზე შეეცდება რეაბილიტაციას.

„ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრაში ფავორიტად „რუსენბორგია“ მიჩნეული. მიზეზი: ნორვეგიელებმა პირველ შეხვედრაში ბერძნებს 3:1 მოუგეს, მაგრამ არის მეორე საკითხიც — სტატისტიკა ამბობს, რომ „რუსენბორგს“ ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ რვა საშინაო თამაში არ მოუგია. ჰოდა, „რეალის“ არ იყოს, რისი მიმანიშნებელია ეს? იმის, რომ „რუსენბორგი“ ამ უსიამოვნო ჯაჭვს ბოლოს და ბოლოს გაწყვეტს თუ იმის, რომ ის არაფრის მომგები არ არის? პასუხი თქვენთვის მოგვინდია.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| რუსენბორგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ლივერპული — ბეტისი

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, უორნოკი, ჰამანი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, ზენდენი, ჯ. სისე, კროუჩი

დობლასი, მელი, ხუანიტო, რივასი, ო. ლოპესი, ხოაკინი, რივერა, არზუ, ფერნანდო, ხისკო, ედუ

### ანდერლეხტი — ჩელსი

ბრიუსელი. „კონსტანტ ვანდენ სტოკი“. მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

ჟიტკა, ჟევლაკოვი, კომპანი, ტიჰინენი, ვანდენ ბორე, გოორი, დეშახტი, ბასეჯიო, ჰასი, ზეტერბერგი, მ. მპენზა

პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, დელ ორნო, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, დაფი, ჯ. კოული, დროგბა

## H ჯგუფი

### ინტერი — არტმედია

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ვომე, ფიგუ, დ. პიზარო, კამბიასო, სოლარი, ადრიანო, ხ. კრუზი

ჩობეი, დებნარი, დიურიცა, ჰელებრანდი, ბურაკი, ჰარტიგი, ფოდრეკი, ურბანეკი, კოზაკი, ვაშჩაკი, ჰალენარი

### პორტუ — რეინჯერსი

პორტუ. „დრაგაუ“. მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ვიტორ ბაია, ბოსინგვა, პეპე, პ. ემანუელი, პეიშოტო, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, იბსონი, ლ. ლოპესი, უგო ალმეიდა, კვარესმა

ვატერეუსი, რიკსენი, ენდრიუსი, ჰემდანი, კირიაკოსი, ბ. ფერგიუსონი, მიურეი, ნამუში, ლოვენკრანდსი, ს. ტომპსონი, ჯეფერსი

# ვის ვერ გააქვს, დაგანახებთ

**დღეს** „ენფილდზე“ ლორენს სერა ფერერის ბიჭებმა ჩემპიონთა თასის ამჟამინდელ მფლობელ „ლივერპულთან“ ერთი ქულაც რომ აიღონ, სულ მცირე, უეფას თასის საგზურს დაიბევებენ.

მოკლედ, პროგნოზები იქით იყოს და, ესპანელებს ტრავმირებულთა მთელი ლეგიონი ჰყავთ ლაზარეთში — მიგელ ანხელი, ნანო, ალეხანდრო ლემბო, დანი და, რაც მთავარია, ბრაზილიელი ფორვარდი რიკარდო ოლივეირა ვერ ითამაშებენ. საეჭვოა მეკარე პედრო კონტრერასისა და თავდამსხმელ ედუს ბურთაობაც — კონტრერასმა და ედუმ ამასწინანდელ სევილიურ დერბიში მიკროტრავმები მიიღეს. არ ითამაშებს აგრეთვე, ნახევარმცველი ფერნანდო ვარელაც, მას ყვითლები დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია. ფეხს იტკივებდა მცველი ლუის ფერნანდესიც, თუმც მან ტრავმის მორჩენა მოასწრო და თამაშს შეძლებს.

„ბეტისმა“ წინა ტურში ერთი ინგლისური გუნდი უკვე „ააყირავა“ — თვით „ჩელსის“ შინ 1:0 მოუგო. ასე რომ, მიუხედავად დანაკლისისა, სევილიელები „ლივერპულთან“ მატჩს უიმედოდ მაინც არ ეგებებიან.

„მერე რა, რომ „ბეტისი“ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია. „ჩელსისთან“ გამარჯვების მერე საფეხბურთო ევროპამ „გალაქტიკაში შავი ხვრელი“ შეგვარქვა. ჩვენც ვეცდებით, ამ „სიშავეს“ „ლივერპულიც“ ვერ გადაურჩეს“ — ამბობს ლორენს სერა ფერერი, ესპანელთა დამრიგებელი.

რაფა ბენიტესის შეგირდებმა ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში „პორტსმუთს“ 3:0-ით აუგეს ანდერძი. გოლები ბუდევინ ზენდენმა, ჯიბრილ სისემ და ფერნანდო მორიენტესმა გაიტანეს. „რეალის“ ექსმოიერიშე მოედანზე 22-ე წუთზე გამოჩნდა დაშავებული ლუის გარსიას ნაცვლად და წლეულს, პრემიერლიგაში თავისი პირველი ბურთი შეაგდო. ლუის გარსია ალბათ, არც დღეს იქნება და, სავარაუდოდ, მას მუხლმტკივანი იონ არნე რიისეც შეუერთდება.

ჯგუფის მეორე მატჩში „ჩელსი“ აუტსაიდერ „ანდერლეხტს“ ესტუმრება. ბელგიელების საქმე ლიგაზე უკვე წასულია და ესენიც მხოლოდ უეფას თასზე მოსახვედრად იბრძოლებენ. საოცარია, მაგრამ „ჩელსის“ წლეულს ლიგაში სტუმრად ჯერ გოლი არ გაუტანია. ჟოზე მაურინიუს, ლონდონელთა პორტუგალიელ მწვრთნელს, მედიასთან დიდის ამბით უთქვამს, ვის ვერ გააქვს, ამას ბრიუსელში დაგანახებთო.

მაურინიუს კოტდივუარელი ფორვარდი დიდიე დროგბა უკვე გამოუჯანმრთელდა და აუცილებლად ითამაშებს. მასპინძლებმა კი ლაზარეთიდან საუკეთესო ფეხბურთელი, მცველი ვენსან კომპანი დაიბრუნეს.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| ბეტისი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |



ჟოზე მაურინიუ ბელგიელებს დაემუქრა



„რეინჯერსს“ დადო პრსო დააკლდება

# ბოლო შანსების დღე

**ჯგუფიდან** ერთი მერვედფინალისტის ვინაობა, ფაქტობრივად, ცნობილია — მილანის „ინტერს“ მდევრებთან საკმაოდ დიდი უპირატესობა აქვს და მისი შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. დღეს „ნეროაძური“ სტადიონის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო კიდევ ერთხელ ითამაშებს ცარიელი ტრიბუნების წინაშე და სლოვაკურ „არტმედიასთან“ ფრეს შემთხვევაშიც გაინაღდებს შემდეგ ეტაპზე გასვლას.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ლიგის აღმოჩენასა და კერკეტ კაკალ „არტმედიას“, ჯგუფში ბოლო ორი გასვლითი მატჩი არ წაუგია და ამჯერადაც სიურპრიზის გამოცხობას აპირებს. „ინტერთან“ პირველ შეხვედრაში კი ბრატისლაველებმა ბევრი იომეს, მაგრამ ხულიო რიკარდო კრუზისგან დებიუტშივე გაშვებული გოლით მაინც დამარცხდნენ.

უფრო დიდ ინტერესს მაინც ჯგუფის მეორე მატჩი იწვევს: „პორტუს“, ფაქტობრივად, ბოლო შანსი აქვს, მერვედფინალს ჩაებღაუჭოს, რისთვისაც „რეინჯერსის“ დამარცხებაა საჭირო. პორტუგალიელებს ეს თავადაც კარგად ესმით და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ.

„სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და შევეცადოთ, მეტოქეს ჩვენი თამაშის სტილი მოვახვიოთ თავს. „რეინჯერსი“ ძლიერი მოწინააღმდეგეა, მაგრამ მჯერა, მოგება შეგვიძლია. სხვა გზა არც გვაქვს — თქვა „პორტუს“ ჰოლანდიელმა თავკაცმა კო ადრიანსემ.

თავის მხრივ, წარმატების მიღწევას მაქსიმალურად ეცდება „რეინჯერსიც“. მოგეხსენებათ, გლაზგოელები კრიზისში არიან და ეროვნულ ჩემპიონატში უჩვეულოდ ცუდად თამაშობენ. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგა ერთადერთ ნუგეშად შერჩათ. გასულ უქმეებზე, „ჩაფრებმა“ კიდევ ერთხელ წააგეს მოსისხლე მტერ „სელტიკთან“, თანაც სამარცხვინოდ (0:3). გულშემატკივრები უკვე კატეგორიულად სთხოვენ საყვარელ გუნდს, თამაში გამოასწოროს.

„პორტუსთან“ მატჩი ერთ-ერთი ბოლო შანსია გლაზგოელთა თავკაც ალექს მაკლიშისთვისაც. „რეინჯერსის“ თავმჯდომარემ, დევიდ მიურეიმ, მას დეკემბრამდე მისცა ვადა ვითარების გამოსასწორებლად.

ისედაც რთულ ვითარებაში მყოფი „რეინჯერსის“ მდგომარეობა დადო პრსოს ტრავმით გამწვავდა. გლაზგოელთა ლიდერი „სელტიკთან“ ზემოხსენებულ მატჩში დაშავდა და კლუბის კიდევ ორ ტრავმირებულ თავდამსხმელს, ნაჩო ნოვოსა და ფედერიკო ნიეტოს შეუერთდა. არ ითამაშებს თომას ბუფელიც, იგი ახლახან მომჯობინდა და მაკლიშმა თქვა, ვერ გავრისკავო. ამ ფეხბურთელების გარდა, გლაზგოელებს მცველები — ოლივიე ბერნარი და ჟულიენ როდრიგესიც დააკლდებათ. ასე რომ, შოტლანდიელები სტივენ ტომპსონისა და ფრენსის ჯეფერსის იმედზე დარჩნენ, მაგრამ მწვრთნელმა სარეზერვო გუნდიდან უხმო 20 წლის ფორვარდ სტივენ სმიტსაც.

„მეტოქისგან განსხვავებით, ბევრი მოთამაშე გვაკლია და ეს ჩვენს ამოცანას ართულებს. განსაკუთრებით, დადო პრსოზე მწყდება გული. იგი ძალიან გამოცდილი და ძლიერი ფორვარდია. მისი შეცვლა გაგვიჭირდება. მართლაც, რთული პერიოდი გვიდგას, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პორტუდან თუნდაც ქულა წავიღოთ“ — განაცხადა მაკლიშმა.

„რეინჯერსის“ კაპიტანი ბარი ფერგიუსონი: „ეს ჩემ კარიერაში ყველაზე ცუდი პერიოდია. ამაზე ქვემოთ არასდროს ვყოფილვარ. მძიმე ტრავმის შემდეგ შვიდი თვე გამიცდა, მაგრამ თავი ასე ცუდად მაშინაც კი არ მიგრძვნია. ყველაფერი უფრო და უფრო უარესობისკენ მიდის. ამიტომ უნდა გამოვფხიზლდეთ. მდგომარეობის გამოსწორება, პირველ რიგში, ფეხბურთელებს შეგვიძლია“.

ბოლოს ვთქვათ, რომ „პორტუს“ შოტლანდიური კლუბები ხუთჯერ ეწვივნენ და ოთხჯერ დამარცხდნენ, ხოლო ერთხელ „დანდი იუნაიტედმა“ ფრე გაახერხა. „რეინჯერსი“ კი ოთხჯერ ეწვია პორტუგალიას, სამჯერ წააგო და ერთხელ მოიგო. რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს, ამ სეზონამდე ეს კლუბები სამჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს, ორჯერ „რეინჯერსმა“ იძალა, ერთხელაც — „პორტუმ“.

**ძოძი ძანძღაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| არტმედია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| პორტუ | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |

# ტოტის ფეხი და ნედვედის თავი



ფრანჩესკო ტოტისა და პაველ ნედვედის ამ შეხლამ იტალიელ დისციპლინარებს საქმე მისცა

**ფრანჩესკო ტოტის** არ დასჯიან იმისთვის, რომ მან პაველ ნედვედს თავში ფეხი ჰკრა. ამბავი გასულ უქმეებზე, „რომა" — „იუვენტუსის" მატჩისას მოხდა, რომელშიაც სტუმრებმა 4:1 იმარჯვეს.

ტოტი და ნედვედი ბურთისთვის ჰაერში დაეჯახნენ ერთმანეთს და მსაჯმა ჩეხი დააჯარიმა. ბალახზე გაშხლართულმა იტალიელმა ფეხი გაიქნია და ასევე წაქცეულ ჩეხს მიარტყა.

იმ მომენტში ისე გამოჩნდა, თითქოს მსაჯმა ჯანლუკა პაპარესტამ ეს ვერ დაინახა და ეპიზოდი ნამატჩევს სადისციპლინო კომიტეტმა გაარჩია.

ფირი განმეორებით დაატრიალეს, რომლის შედეგადაც დაასკვნეს — პაპარესტას მომენტი არ გამორჩენია, თვითონ არბიტრმა კი განაცხადა: „ყველაფერი კარგად დავინახე და ჩავთვალე, რომ ტოტის ფეხი ჩეხს უნებლიედ მოხვდა. შეგნებულად არ გაუკეთებია".

ფრანჩესკო ტოტის სეზონში მეორე დისკვალიფიკაცია ასცდა

**გაჟა ხუციშვილი**

# ამერიკამ პიზარო აღიარა

**მიუნხენის** „ბაიერნის" პერუელი ფორვარდი კლაუდიო პიზარო ევროპაში მოთამაშე ლათინოამერიკელ ფეხბურთელთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს. გამოკითხვა ამერიკულმა ტელეარხემა „ფოქს სპორტსმა" ჩაატარა, დაჯილდოების ცერემონიალი კი 5 დეკემბერს მაიამიში გაიმართება.

პიზარომ, რომლის წყვილი გოლითაც გასულ შაბათს „ბაიერნმა" ბილეფილდის „არმინია" დაამარცხა, გამოკითხვაში რაფაელ მარკესს („ბარსელონა"), ხუან რომან რიკელმეს, დიეგო ფორლანს („ვილიარეალი") და ხუან პაბლო ანხელს („ასტონ ვილა") აჯობა.

ეს ჯილდო „ფოქს სპორტსმა" სამი წლის წინ დააწესა, თუმც პერუელი მეგოლე ცერემონიალზე შეიძლება ვერ ჩავიდეს, რადგან „ბაიერნს" მეტად გადატვირთული კალენდარი აქვს.



კლაუდიო პიზარო

**გაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XIII ტური

ჰანზა 0:0 კოტბუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 13 | 7 | 3 | 3 | 21:12 | 24 |
| კოტბუსი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:16 | 24 |
| ფრაიბურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:14 | 24 |
| კარლსრუე | 13 | 7 | 3 | 3 | 18:13 | 24 |
| პადერბორნი | 13 | 7 | 2 | 4 | 24:12 | 23 |
| ბოხუმი | 13 | 6 | 5 | 2 | 20:13 | 23 |
| ალემანია | 13 | 7 | 1 | 5 | 25:17 | 22 |
| ფიურტი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:20 | 21 |
| აუე | 13 | 4 | 6 | 3 | 13:10 | 18 |
| ბრაუნშვაიგი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:14 | 18 |
| ჰანზა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:16 | 18 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 4 | 5 | 4 | 16:19 | 17 |
| ზიგენი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:18 | 15 |
| უნტერჰახინგი | 13 | 4 | 2 | 7 | 19:22 | 14 |
| ოფენბახი | 13 | 4 | 2 | 7 | 14:26 | 14 |
| დინამო | 13 | 3 | 2 | 8 | 17:24 | 11 |
| ალენი | 13 | 1 | 5 | 7 | 13:25 | 8 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 1 | 2 | 10 | 7:32 | 5 |

## არგენტინა

აპერტურა. XVI ტური

სან ლორენსო 4:2 ოლდ ბოისი

## იტალია

სერია B. XVI ტური

კროტონე 0:1 რიმინი

0:1 ბაჩინი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 16 | 10 | 6 | 0 | 21:7 | 36 |
| ტორინო | 16 | 9 | 5 | 2 | 17:8 | 32 |
| ატალანტა | 16 | 10 | 1 | 5 | 24:17 | 31 |
| ჩეზენა | 16 | 8 | 3 | 5 | 23:16 | 27 |
| კატანია | 16 | 7 | 6 | 3 | 22:17 | 27 |
| მოდენა | 16 | 6 | 8 | 2 | 19:11 | 26 |
| არეცო | 16 | 6 | 7 | 3 | 19:12 | 25 |
| ვერონა | 16 | 6 | 7 | 3 | 17:10 | 25 |
| ბრეშა | 16 | 6 | 7 | 3 | 22:16 | 25 |
| პიაჩენცა | 16 | 6 | 6 | 4 | 23:18 | 24 |
| პესკარა | 16 | 6 | 4 | 6 | 21:20 | 22 |
| ტრიესტინა | 16 | 6 | 4 | 6 | 14:17 | 22 |
| კროტონე | 16 | 5 | 6 | 5 | 15:13 | 21 |
| ბარი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:17 | 21 |
| რიმინი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:20 | 20 |
| ბოლონია | 16 | 4 | 6 | 6 | 16:19 | 18 |
| ვიჩენცა | 16 | 4 | 4 | 8 | 17:25 | 16 |
| ტერნანა | 16 | 3 | 5 | 8 | 11:24 | 14 |
| ალბინოლეფე | 16 | 2 | 7 | 7 | 10:18 | 13 |
| კატანძარო | 16 | 2 | 4 | 10 | 7:18 | 10 |
| აველინო | 16 | 2 | 4 | 10 | 12:29 | 10 |
| კრემონეზე | 16 | 1 | 3 | 12 | 10:25 | 6 |

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

დენ ბოსხი 1:1 ვენლო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენლო | 18 | 12 | 4 | 2 | 30:9 | 40 |
| ვოლენდამი | 18 | 11 | 4 | 3 | 32:16 | 37 |
| ექსელსიორი | 18 | 11 | 3 | 4 | 32:12 | 36 |
| ემენი | 18 | 11 | 2 | 5 | 37:21 | 35 |
| ზვოლე | 18 | 10 | 4 | 4 | 33:19 | 34 |
| დენ ბოსხი | 18 | 9 | 5 | 4 | 33:24 | 32 |
| ჰელმონდი | 18 | 9 | 3 | 6 | 27:28 | 30 |
| მაასტრიხტი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:23 | 27 |
| გრააფსხაპი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:21 | 25 |
| ვეენდამი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:21 | 25 |
| დორდრეხტი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:20 | 24 |
| იგლსი | 18 | 5 | 6 | 7 | 23:28 | 21 |
| ოსი | 18 | 5 | 6 | 7 | 21:29 | 21 |
| აპელდორნი | 18 | 6 | 2 | 10 | 32:33 | 20 |
| ტელსტარი | 18 | 4 | 7 | 7 | 17:26 | 19 |
| ჰაარლემი | 18 | 5 | 3 | 10 | 18:37 | 18 |
| კამბური | 18 | 3 | 8 | 7 | 18:25 | 17 |
| ეინდჰოვენი | 18 | 4 | 4 | 10 | 25:30 | 16 |
| ალმერე | 18 | 3 | 2 | 13 | 21:47 | 11 |
| სიტარდი | 18 | 1 | 5 | 12 | 17:42 | 8 |

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. X ტური

აკრატიტოსი 1:2 აეკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 10 | 8 | 0 | 2 | 21:5 | 24 |
| აეკ | 10 | 7 | 2 | 1 | 15:5 | 23 |
| პანათინაიკოსი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:8 | 20 |
| ქსანთი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| პაოკ | 10 | 4 | 4 | 2 | 16:9 | 16 |
| ეგალეო | 10 | 3 | 6 | 1 | 8:7 | 15 |
| ირაკლისი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 14 |
| ლარისა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:12 | 12 |
| ატრომიტოსი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| იონიკოსი | 10 | 2 | 6 | 2 | 12:15 | 12 |
| ლევადიაკოსი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:10 | 10 |
| ოფი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:14 | 10 |
| პანიონიოსი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:19 | 9 |
| კალამარია | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | 8 |
| აკრატიტოსი | 10 | 1 | 3 | 6 | 5:11 | 6 |
| კალითეა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:17 | 5 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XI ტური

ბელენენსეში 0:1 მარიტიმუ

0:1 მანდუკა (37პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 11 | 8 | 2 | 1 | 13:4 | 26 |
| პორტუ | 11 | 7 | 3 | 1 | 18:7 | 24 |
| ნასიონალი | 11 | 7 | 3 | 1 | 14:4 | 24 |
| სეტუბალი | 11 | 6 | 2 | 3 | 9:3 | 20 |
| სპორტინგი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:14 | 20 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 3 | 3 | 19:12 | 18 |
| ბოავიშტა | 11 | 4 | 6 | 1 | 17:10 | 18 |
| რიუ ავე | 11 | 4 | 3 | 4 | 15:16 | 15 |
| მარიტიმუ | 11 | 3 | 5 | 3 | 13:13 | 14 |
| ფერეირა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | 14 |
| ლეირია | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 |
| ნავალი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:17 | 11 |
| აკადემიკა | 11 | 3 | 2 | 6 | 10:16 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | 11 |
| ბელენენსეში | 11 | 3 | 1 | 7 | 13:16 | 10 |
| ამადორა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:12 | 10 |
| გიმარაეში | 11 | 3 | 1 | 7 | 7:15 | 10 |
| პენაფიელი | 11 | 1 | 3 | 7 | 8:19 | 6 |


# იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO 2.2** ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27







**ირლანდიელ** ნახევარმცველ როი კინისთვის ბრძოლაში „ბოლტონიც" ჩაერთო. მწვრთნელი სემ ალარდაისი გუნდში ვეტერანების მიყვანით უკვე კარგადაა ცნობილი და ახლა კინის ხელში ჩაგდებასაც ეცდება. პარალელურად, იტალიურმა კლუბებმა, „რომამ" და „იუვენტუსმა" უარყვეს ჭორები, თითქოსდა ისინი კინის დამატებას აპირებდნენ.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მარსელის" ახალგაზრდა ვარსკვლავი ფრანკ რიბერი კვლავ გრანდების ყურადღების ცენტრშია. მის სახელს სამ ინგლისურ კლუბს უკავშირებენ — „არსენალს", „მანჩესტერსა" და „ტოტენჰემს". „პრემიერლიგიდან ორი ოფიციალური წინადადება მივიღეთ, უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, თუმც ფრანკი ჯერ არ აპირებს „მარსელის" დატოვებას. იგი მხოლოდ 22 წლისაა და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რისი საშუალებაც აქ აქვს" — თქვა რიბერის აგენტმა ბრუნო ჰაიდერშეიდმა.

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი მანიშე რიბეირუ მადრიდში იმყოფება და „ატლეტიკოსთან" მოლაპარაკებებს მართავს. შესაძლოა, იგი იანვარშივე გადაბარგდეს „ვისენტე კალდერონზე", მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის „დინამოსთან" კონტრაქტის გაწყვეტას შეძლებს. გავრცელებული ცნობით, „ატლეტიკო" თანახმაა, მანიშე მხოლოდ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატოს.

**იტალიური** „ფიორენტინა" გაძლიერებაზე ფიქრს აგრძელებს: ახლა ფლორენციელებს „რომას" ნახევარმცველ დანიელე დე როსისთვის დაუდგამთ თვალი. 22 წლის პერსპექტიული ფეხბურთელი 4,5-5,5 მილიონ გირვანქად ფასდება. შეგახსენებთ, რომ „იებმა" ფაქტობრივად, უკვე შეძლეს „სპარტაკის" სერბი მცველის ნემანია ვიდიჩის შეძენა, რომელიც თავის ახალ კლუბთან იანვარში ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ბელგიური** „ლიერსის" რამდენიმე მოთამაშე „სენტ ტრუიდენის" ფეხბურთელთა მსგავსად, ასევე მატჩების ჩაწყობაში არიან ეჭვმიტანილნი. ორივე საკითხზე უკვე დაწყებულია გამოძიება და გამორიცხული არ არის, ამ მაქინაციებში კიდევ სხვა გუნდები იყვნენ გარეულნი. გავრცელებული ცნობით, ახალ წლამდე ბევრი რამ გაირკვევა.

**ინგლისურმა** „მიდლსბრომ" კლუბის თავკაც სტივ მაკლარენთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. „ერთად უკვე საკმაოდ დიდი გზა გამოვიარეთ და, იმედია, წინ წარმატებებიც გველოდება. როდესაც ახალი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს, დაუფიქრებლად დავთანხმდი" — თქვა 44 წლის სპეციალისტმა. შეგახსენებთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონის ყოფილი თანაშემწე „რივერსაიდზე" 2001 წელს გადაბარგდა.

**იტალიელმა** ფორვარდმა მარკო დი ვაიომ აღნიშნა, რომ იანვარში სიამოვნებით შეუერთდებოდა რომელიმე მილანურ კლუბს. როგორც იცით, მას „ვალენსიაში" საქმე ცუდად მისდის და ალბათ სამშობლოში დაბრუნდება კიდეც. „მილანში გადასვლა ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს საოცარი ქალაქია და ორი ბრწყინვალე კლუბი ჰყავს. მხოლოდ ჩემზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული, მაგრამ იმედია, მხარეები შეთანხმებას შეძლებენ" — თქვა დი ვაიომ.

**ესპანურ** „ბეტისს" სეზონის ბოლომდე „ბარსელონას" არგენტინელ თავდამსხმელ მაქსი ლოპესის თხოვება უნდა. იგი დაშავებული რიკარდო ოლივეირას შემცვლელად მოიაზრება. გუნდის გამოცვლა თავად 21 წლის ფეხბურთელსაც სურს, რადგანაც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. „მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ არ შევთანხმებულვართ" — თქვა „ბარსას" სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა" უარყო ჭორები, თითქოს კლუბს უკვე მიღწეული აქვს შეთანხმება „ბაიერნის" მცველ ვილი სანიოლთან. „ვილი ბრწყინვალე ფეხბურთელია და მართლაც გვაინტერესებს, მაგრამ ტრანსფერზე საუბარი ჯერ ადრეა" — თქვა „ბებერი ქალბატონის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

**ესპანური** პრესა იუწყება, რომ მადრიდის „რეალს" მომავალი სეზონიდან ფაბიო კაპელო გაწვრთნის. ამის დამამტკიცებლად პირინეული ჟურნალ-გაზეთები „იუვენტუსის" ამჟამინდელი თავკაცის ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განცხადებასაც იშველიებენ. „ყოველთვის ვამბობდი, რომ საზღვარგარეთ სიამოვნებით ვიმუშავებ. ესპანეთზე მეტად ინგლისი მიზიდავს. ჩემ ასაკში ახალი თავგადასავლებია საჭირო" — უთქვამს კაპელოს.

# სარბიელი და კროკი წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 3 | სიტი-ლივერპული | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 4 | უიგანი-ტოტენჰემი | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 19:00 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 6 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 7 | არსენალი-ბლექბერნი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 21:15 | 9 | პორტსმუთი-ჩელსი | 8.00 | 4.40 | 1.35 | 2.83 | 1.15 | 1.03 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 11 | ევერტონი-ნიუკასლი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 18:00 | 12 | ფულემი-ბოლტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 19:00 | 14 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 20:00 | 15 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |

### ინგლისი. I ლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 40 | კოლჩესტერი-ჯილინგემი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 19:00 | 41 | ბრედფორდი-ჰარტლპული | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 42 | დონკასტერი-ბრისტოლი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 43 | სკანთორპი-ბრენტფორდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 44 | სუინდონი-ბარნსლი | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 45 | ჩესტერფილდი-ბლეკპული | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 46 | იოვილი-ოლდემი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 47 | პორტ ვეილი-საუთენდი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 48 | უოლსოლი-როტერჰემი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 19:00 | 49 | ჰადერსფილდი-ნოტინგემი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 19:00 | 50 | ტრანმერი-სუონსი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 51 | ბორნმუთი-დონსი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

### ინგლისი. II ლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 52 | ნორთჰემპტონი-ლინკოლნი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:00 | 53 | მაკლსფილდი-ლეიტონი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 19:00 | 54 | როჩდეილი-შრიუსბერი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 19:00 | 55 | მენსფილდი-სტოკპორტი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 56 | ჩესტერი-პიტერბრო | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 57 | როვერსი-ბარნეტი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 19:00 | 58 | ოქსფორდი-გრიმსბი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 19:00 | 59 | ბერი-ჩელტენემი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 19:00 | 60 | ნოტსი-ტორკი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 61 | კარლაილი-უიკომბი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 62 | დარლინგტონი-რაშდენი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 63 | ბოსტონი-რექსემი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 75 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 76 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 77 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 19:00 | 79 | მოზერუელი-ჰართსი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 19:00 | 81 | ფოლკირკი-აბერდინი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 82 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 83 | სტ.ჯონსტონი-სტრანრარი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 19:00 | 84 | ქუინი-როსი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 19:00 | 85 | კლაიდი-ერდრი | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 19:00 | 86 | დანდი-ბრეჩინი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 19:00 | 87 | სტ.მირენი-ჰამილტონი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 99 | შალკე-ვერდერი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:30 | 100 | ბაიერნი-მაინცი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 18:30 | 102 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 1.80 | 3.40 | 4.10 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 18:30 | 103 | დუისბურგი-კიოლნი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:30 | 104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:30 | 105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:30 | 106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 20:30 | 108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |

### იტალია. სერია A

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 164 | ლივორნო-კიევო | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 23:30 | 165 | მილანი-ლეჩე | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 167 | სიენა-რეჯინა | 2.00 | 2.90 | 4.00 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 18:00 | 168 | კალიარი-სამპდორია | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 18:00 | 170 | იუვენტუსი-ტრევიზო | 1.15 | 6.20 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.46 |
| 18:00 | 172 | პარმა-უდინეზე | 2.65 | 3.00 | 2.60 | 1.40 | 1.31 | 1.39 |
| 18:00 | 173 | მესინა-ინტერი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 18:00 | 175 | ასკოლი-პალერმო | 2.90 | 2.90 | 2.45 | 1.45 | 1.32 | 1.32 |
| 18:00 | 176 | ემპოლი-ლაციო | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 23:30 | 177 | რომა-ფიორენტინა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 212 | ვალენსია-სელტა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 23:00 | 216 | მალიორკა-ბილბაო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 210 | ბეტისი-კადისი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 20:00 | 211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 20:00 | 214 | ოსასუნა-ალავესი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 20:00 | 217 | ხეტაფე-მალაგა | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 23:45 | 218 | ბარსელონა-რასინგი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 20:00 | 220 | სარაგოსა-სევილია | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 22:00 | 221 | სოსიედადი-რეალი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**25 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 234 | ლე მანი-ოსერი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 235 | სტ.ეტიენი-ბორდო | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 23:00 | 236 | ტულუზი-აიაჩო | 1.90 | 3.00 | 4.20 | 1.16 | 1.30 | 1.75 |
| 23:00 | 237 | ნიცა-ლიონი | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| 23:00 | 239 | ლილი-ნანსი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 23:00 | 240 | სოშო-რენი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 23:00 | 241 | ტრუა-მეცი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 242 | პსჟ-ლანსი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 243 | ნანტი-სტრასბური | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 244 | მარსელი-მონაკო | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 255 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 256 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:00 | 257 | ბეერსხოტი-ბევერენი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 258 | ლუვიე-ლოკერენი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:00 | 260 | მუსკრონი-ლიერსი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:00 | 261 | გენტი-ვესტერლო | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 262 | ბრიუსელი-რუზელარე | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 23:00 | 263 | ვარეგემი-შარლერუა | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 264 | სერკლი-ბრიუგე | 5.30 | 3.50 | 1.60 | 2.10 | 1.22 | 1.09 |

**პოლონეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 355 | ლეხი-პოგონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 356 | კორონა-გროცლინი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 21:00 | 357 | ამიკა-ბელჩატოვი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 21:00 | 358 | გურნიკი-ლეჩნა | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 359 | პლოცკი-ოდრა | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 360 | პოლონია-არკა | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 21:15 | 361 | ზაგლებე-კრაკოვია | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 362 | ვისლა-ლეგია | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 364 | იაბლონეცი-მოსტი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |

**დანია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 398 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 2.75 | 3.40 | 2.30 | 1.52 | 1.25 | 1.37 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 399 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 400 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 401 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 402 | ორჰუსი-სილკებორგი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:30 | 403 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2.85 | 3.10 | 2.30 | 1.48 | 1.27 | 1.32 |

**იაპონია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 10:00 | 404 | კავასაკი-ივატა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 10:00 | 405 | შიმიცუ-კობე | 1.60 | 3.50 | 4.30 | 1.09 | 1.16 | 1.92 |
| 10:00 | 406 | კაშიმა-იოკოჰამა | 1.75 | 3.20 | 3.80 | 1.13 | 1.19 | 1.73 |
| 10:00 | 407 | ნიიგატა-ტოკიო | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 10:00 | 408 | ომია-გამბა | 3.20 | 3.20 | 1.90 | 1.60 | 1.19 | 1.19 |
| 10:00 | 409 | ჰიროსიმა-კაშივა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 10:00 | 410 | ვერდი-ნაგოია | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 10:00 | 411 | ჩერეძო-ოიტა | 1.60 | 3.40 | 4.40 | 1.08 | 1.17 | 1.91 |
| 10:00 | 412 | იჩიჰარა-ურავა | 2.35 | 3.00 | 2.60 | 1.31 | 1.23 | 1.39 |

**ჩემპიონთა ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 470 | ლივერპული-ბეტისი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 23:45 | 471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 23:45 | 472 | რეალი-ლიონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 23:45 | 473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 474 | შალკე-პსვ | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 23:45 | 475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 8.50 | 4.30 | 1.35 | 2.85 | 1.16 | 1.02 |
| 23:45 | 477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |

**უეფას თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 20:00 | 480 | პაოკ-შტუტგარტი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:00 | 481 | ვიკინგი-სლავია | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:30 | 482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:30 | 483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 21:30 | 484 | ზენიტი-სევილია | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 22:00 | 486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 4.65 | 3.30 | 1.70 | 1.93 | 1.24 | 1.12 |
| 22:00 | 487 | ჰერტა-ლანსი | 1.70 | 3:30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 23:00 | 488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| 23:45 | 490 | მონაკო-ჰამბურგი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 491 | რომა-სტრასბური | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:45 | 492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.95 | 3.10 | 3.75 | 1.19 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 493 | გიმარაეში-ბოლტონი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |

**როიალ ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 535 | სტარტი-ჰამარბი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 21:00 | 536 | მიდტიულანდი-ვოლერენგა | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:00 | 537 | ლინი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:30 | 541 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:35 | 542 | ოლბორგი-იურგორდენი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |

**შოტლანდია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 546 | სპარტანსი-ბერიკი | 6.50 | 4.20 | 1.35 | 2.55 | 1.11 | 1.02 |
| 19:00 | 547 | კრუდენბითი-მორტონი | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |
| 19:00 | 548 | დამბარტონი-ფორეს მეხ. | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 19:00 | 549 | სტირლინგი-ელგინი | 1.30 | 4.70 | 7.00 | 1.01 | 1.09 | 2.81 |

**პოლონეთი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 504 | კორონა-გროცლინი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

**ხორვატია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 507 | ოსიეკი-ჰაიდუკი | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |

**ინგლისი LDV Vans Trophy**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 508 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 23:45 | 510 | კოლჩესტერი-ნორთჰემპტონი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |

**ჰოკეი. რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 765 | ცსკა-ნოვოკუზნეცკი | 1.30 | 4.40 | 4.80 | 1.00 | 1.02 | 2.29 |
| 13:00 | 766 | სპარტაკი-დინამო | 3.50 | 4.30 | 1.55 | 1.92 | 1.07 | 1.13 |
| 13:00 | 767 | ლოკომოტივი-მაგნიტოგორსკი | 2.05 | 4.20 | 2.25 | 1.37 | 1.07 | 1.46 |
| 13:00 | 768 | სევერსტალი-ხიმიკი | 1.95 | 4.00 | 2.30 | 1.31 | 1.05 | 1.46 |
| 13:00 | 769 | მოლოტი-სიბირი | 2.50 | 4.20 | 1.80 | 1.56 | 1.04 | 1.25 |
| 13:00 | 770 | აკ ბარსი-ვიტიაზი | 1.25 | 4.50 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.36 |
| 13:00 | 771 | ნეფტეხიმიკი-მვდ | 1.55 | 4.50 | 3.30 | 1.15 | 1.05 | 1.90 |
| 13:00 | 772 | აკკ-ავანგარდი | 2.55 | 4.40 | 1.80 | 1.61 | 1.05 | 1.27 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:45 | 875 | რიტასი-ოლიმპიაკოსი | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |
| 23:30 | 876 | პაუ-ცსკა | 3.30 | 12.00 | 1.25 | 2.58 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 877 | ტაუ-აეკ | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 21:30 | 878 | ციბონა-მილანი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 23:45 | 879 | ბოლონია-ბამბერგი | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10470 | ლივერპული-ბეტისი | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10472 | რეალი-ლიონი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 2.70 | 2.00 | 3.55 | 1.14 | 1.53 | 1.27 |
| 10474 | შალკე-პსვ | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.90 | 2.20 | 5.20 | 1.01 | 1.39 | 1.54 |
| 10476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 6.50 | 2.50 | 1.60 | 1.80 | 1.28 | 1.00 |
| 10477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.35 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 1.96 |
| 10478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.80 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.55 |
| 10480 | პაოკ-შტუტგარტი | 3.30 | 2:00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10481 | ვიკინგი-სლავია | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.85 | 2.20 | 5.60 | 1.00 | 1.39 | 1.57 |
| 10483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 2.55 | 2.00 | 3.65 | 1.12 | 1.50 | 1.29 |
| 10484 | ზენიტი-სევილია | 2.80 | 2.00 | 3.30 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10485 | დნიპრო-ლიტექსი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 4.70 | 2.00 | 2.15 | 1.40 | 1.47 | 1.03 |
| 10487 | ჰერტა-ლანსი | 2.10 | 2.00 | 4.90 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.80 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.66 |
| 10490 | მონაკო-ჰამბურგი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10491 | რომა-სტრასბური | 1.80 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.66 |
| 10492 | ესპანიოლი-პალერმო | 2.45 | 2.00 | 4.00 | 1.10 | 1.51 | 1.33 |
| 10493 | გიმარაეში-ბოლტონი | 3.00 | 2.00 | 2.75 | 1.20 | 1.43 | 1.15 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11470 | ლივერპული-ბეტისი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11472 | რეალი-ლიონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11474 | შალკე-პსვ | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11475 | პორტუ-რეინჯერსი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11480 | პაოკ-შტუტგარტი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11481 | ვიკინგი-სლავია | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11484 | ზენიტი-სევილია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11485 | დნიპრო-ლიტექსი | 2.75 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11487 | ჰერტა-ლანსი | 2.45 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11489 | მარსელი-ჰერენვენი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11490 | მონაკო-ჰამბურგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11491 | რომა-სტრასბური | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11492 | ესპანიოლი-პალერმო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11493 | გიმარაეში-ბოლტონი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12470 | ლივერპული-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12472 | რეალი-ლიონი | 1.90 | 1.70 |
| 12473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 12474 | შალკე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |
| 12478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.70 | 1.90 |
| 12479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 12480 | პაოკ-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 12481 | ვიკინგი-სლავია | 1.70 | 1.90 |
| 12482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 12483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12484 | ზენიტი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.70 | 1.90 |
| 12486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12487 | ჰერტა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 12488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 1.70 | 1.90 |
| 12489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.70 | 1.90 |
| 12490 | მონაკო-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12491 | რომა-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 12492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12493 | გიმარაეში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13470 | ლივერპული-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13472 | რეალი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13474 | შალკე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 2.00 | 1.60 |
| 13477 | ინტერი-პეტრჟალკა | 2.10 | 1.55 |
| 13478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.70 | 1.90 |
| 13479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.90 | 1.70 |
| 13480 | პაოკ-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13481 | ვიკინგი-სლავია | 1.70 | 1.90 |
| 13482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 13483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13484 | ზენიტი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.70 | 1.90 |
| 13486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13487 | ჰერტა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 1.70 | 1.90 |
| 13489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.90 | 1.70 |
| 13490 | მონაკო-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13491 | რომა-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13493 | გიმარაეში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14470 | ლივერპული-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 2.10 | 1.65 |
| 14472 | რეალი-ლიონი | 1.60 | 2.10 |
| 14473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.80 | 2.00 |
| 14474 | შალკე-პსვ | 1.70 | 2.20 |
| 14475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.30 | 2.50 |
| 14476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 2.60 | 1.15 |
| 14477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.06 | 2.90 |
| 14478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.30 | 2.50 |
| 14479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.20 | 2.60 |
| 14480 | პაოკ-შტუტგარტი | 2.00 | 1.80 |
| 14481 | ვიკინგი-სლავია | 1.80 | 2.00 |
| 14482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.30 | 2.50 |
| 14483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 1.70 | 2.10 |
| 14484 | ზენიტი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 14485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.60 | 2.30 |
| 14486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 2.40 | 1.45 |
| 14487 | ჰერტა-ლანსი | 1.45 | 2.40 |
| 14488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 1.90 | 1.85 |
| 14489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.20 | 2.50 |
| 14490 | მონაკო-ჰამბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14491 | რომა-სტრასბური | 1.20 | 2.60 |
| 14492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.70 | 2.20 |
| 14493 | გიმარაეში-ბოლტონი | 1.95 | 1.80 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15470 | ლივერპული-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15472 | რეალი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | შალკე-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | პორტუ-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | ინტერი-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | პაოკ-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | ვიკინგი-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15484 | ზენიტი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15485 | დნიპრო-ლიტექსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15487 | ჰერტა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | მარსელი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | მონაკო-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | რომა-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | ესპანიოლი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15493 | გიმარაეში-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16470 | ლივერპული-ბეტისი | 1.25 | 3.10 |
| 16471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 2.40 | 1.40 |
| 16472 | რეალი-ლიონი | 1.30 | 2.65 |
| 16473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.60 | 1.90 |
| 16474 | შალკე-პსვ | 1.40 | 2.45 |
| 16475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.20 | 3.30 |
| 16476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 4.70 | 1.08 |
| 16478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.20 | 3.40 |
| 16479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.15 | 3.80 |
| 16480 | პაოკ-შტუტგარტი | 1.90 | 1.60 |
| 16481 | ვიკინგი-სლავია | 1.60 | 1.90 |
| 16482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.20 | 3.70 |
| 16483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 1.50 | 2.10 |
| 16484 | ზენიტი-სევილია | 1.65 | 1.90 |
| 16485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.35 | 2.50 |
| 16486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 2.80 | 1.30 |
| 16487 | ჰერტა-ლანსი | 1.30 | 2.85 |
| 16488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 1.90 | 1.60 |
| 16489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.15 | 3.90 |
| 16490 | მონაკო-ჰამბურგი | 1.60 | 1.90 |
| 16491 | რომა-სტრასბური | 1.15 | 3.90 |
| 16492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.45 | 2.20 |
| 16493 | გიმარაეში-ბოლტონი | 1.90 | 1.60 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17470 | ლივერპული-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17472 | რეალი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17474 | შალკე-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |
| 17478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | პაოკ-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17481 | ვიკინგი-სლავია | 1.85 | 1.95 |
| 17482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17484 | ზენიტი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.85 | 1.95 |
| 17486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17487 | ჰერტა-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 1.85 | 1.95 |
| 17489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17490 | მონაკო-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17491 | რომა-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17493 | გიმარაეში-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# ნიკორა: დაბერდი, შენ ჩემო სტუ?!



მაკაბელ ლადო აბულაძეს (შუაში) სოხუმელი ვაჟა მეტრეველი უფარებს

**22 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**თსუ-ნიკორა 97:80 სტუ**

*32:19 20:15 19:26 26:20*

**თსუ-ნიკორა:** დ. ბერიშვილი (10), ლეჟავა (16), ფანჩულიძე (26), ტყეშელაშვილი (9), მუშკუდიანი (8); მარხვაშვილი (9), სანიკიძე (7), ვეფხვაძე (4), კეშელავა (3), მაისურაძე, საყვარელიძე (5), ლომიძე

**სტუ:** მიქაძე (5), ხეცურიანი (13), შანიძე (19), კეიდია (30), მათიაშვილი; ათანელაშვილი (4), გაგნიძე (2), კოხრეიძე (4), ლოსაბერიძე (3), ახალკაცი, მურჯიკნელი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**მაკაბი 87:68 სსუ**

*18:22 21:23 19:14 29:9*

**მაკაბი:** ჩერქეზიშვილი (4), დოლიძე (10), ვაშაკიძე (19), აბულაძე (19), გ. შერმადინი (27); ს. შერმადინი (2), კორკოტაძე (6), ენუქიძე, ფიცხელაური

**სსუ:** თორთლაძე (21), პატარაია (6), ბენდიანიშვილი (3), კორძაძე (6), ლ. ნოზაძე (2); გოლეთიანი (20), ქვილითაია (4), მეტრეველი (6), მოდებაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ავიამშენი 70:67 დინამო**

*20:16 11:14 20:24 19:13*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (7), ხოშტარია (25), მარკოიშვილი (19), ბ. ნოზაძე (4), როდუმტა (7); ორმოცაძე (4), ჩხატარაშვილი (2), ნიკოლაძე (2), ბ. ბერიშვილი

**დინამო:** ბადრიძე, ძიძიგური (8), ვ. მაისურაძე (16), ლაფანაშვილი (18), სუხიშვილი (14); წივწივაძე (9), გულისაბედაშვილი (2), დევიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ირაკლი პერტაია**

**„თსუ-ნიკორასთან"** მატჩის წინა დღეს სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა თქვა, ბოლო ტურში რუსთავში „აზოტი" დავამარცხეთ, რის შემდეგაც ვირწმუნე, რომ ოთხეულში მოსახვედრად ბრძოლა შეგვიძლიაო. ჯერ საქართველოს ჩემპიონატი რა არის და მერე მის ოთხეულში შეღწევაც რომ სათუო გაუხდება მოქმედ ჩემპიონს, ცუდადაა საქმე.

ტექნიკოსთა საქმე მართლაც ვერაა კარგად. ჭეიშვილის გუნდს, სიმართლე ითქვას, არავისზე ნაკლები შემადგენლობა არ ჰყავს — ჰა, ჰა, ოდნავ ჩამოუვარდებოდეს ჩემპიონატის მოლიდერე ტანდემს, თუმც მათთან მატჩებში ისე უსუსურად გამოიყურება, ეს რა ვნახეო, შეგეცოდება კაცს.

პირველი წრის მატჩები რომ არ გავიხსენოთ, აქ არაა თსუ-სთან გუშინდელი ჯახი?! თუმც რაღა ჯახი, სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტთა გუნდების ეს დაპირისპირება ცალფარა იყო, სადაც გამარჯვებული ლამის პირველი მეოთხედის ბოლოს გამოვლინდა.

სადებიუტო წუთებზე, სანამ თსუ თავის უპირატესობას ცხადყოფდა, თანაბარი თამაში გაჩაღდა და მაყურებელიც ინტერესით განიმსჭვალა. სტუ-მ შემტევ იარაღად მოთამაშეთა სიმაღლე ირჩია და ტექნიკოსთა გუნდში ერთბაშად სამი მეფარე ვიხილეთ — ირაკლი კეიდია, ლუკა შანიძე და ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი. ეს ტრიო დიდი შედეგიანობით შეტევაში ვერ გამოირჩეოდა, თუმც იმას მაინც ახერხებდა, რომ საკუთარი ფარი მეტოქის შემოტევებისგან შეძლებისდაგვარად დაეცვა. მერე ჭეიშვილმა მათიაშვილის ნაცვლად მოედანზე რევაზ ათანელაშვილი შეუშვა, რითაც ტექნიკოსთა განზრახვა — ფარქვეშეთის დაპყრობა, ცხადი გახადა.

თსუ-ს მაღლებმა სამწამიანში რომ ვერ გაილაღეს, პერიმეტრზე დაიწყეს ასვლა, რასაც შედარებით ხშირად ლევან ტყეშელაშვილი აკეთებდა. მან ერთხელ სამქულიანიც ჩააგდო, რითაც შორი ტყორცნების ესტაფეტა თანაგუნდელებს გადაულოცა.

თსუ-მ პირველ მეოთხედში 6 სამიანი ჩააგდო, თუმც ის არ იფიქროთ, მამუკა ტურაშვილის გუნდს სხვა ბერკეტები არ ჰქონოდა.

საწყისი ათწუთეულის შუაწელიდან თსუ-ს უკანახაზელებმა სიჩქარეს უმატეს და ბასრი კონტრშეტევებით ტექნიკოსთა ფარქვეშ მოპოვებულ უპირატესობას ეფექტი დაუკარგეს.

განსაკუთრებით ირაკლი ბერიშვილი, თსუ-ს შეტევათა სულისჩამდგმელი და პასგამანაწილებელი გამოირჩეოდა. მოიხელთებდა ბურთს და ბერიშვილი ან საორქულე გრძელ პასს აწვდიდა თანაგუნდელებს, ანაც მეტოქის ნახევარზე ელვისებურად გადადიოდა და ტექნიკოსთა კალათის დალაშქვრას მაინც გარდაუვალს ხდიდა.

შედეგიც ტაბლოზე აისახა — 26:9 საპირველმეოთხედო სირენამდე 3 წუთით ადრე. შესვენებამდე ტურაშვილმა თამამად შეცვალა მოთამაშეები, თუმც მარქაფებიც დაუნდობლები გამოდგნენ და მეორე მეოთხედის შუაწელში თსუ-ს უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა — 47:21.

ეს ისეთი ანგარიშია, ჩამორჩენილი გუნდის საქმე რომ მოთავებული ჩანს. ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა, რომ „თსუ-ნიკორა" მოიგებდა, თუმც მთლად ისეც არ მოთავებულა თამაში, ტექნიკოსებს შანსი არ გაეცოცხლებინათ.

აქედანვე გეტყვით: მაქსიმუმი, რასაც სტუ-მ მიაღწია, მეტოქესთან 9 ქულით მიახლოება იყო, თუმც 27 ქულით ჩამორჩენილი გუნდი მესამე მეოთხედშივე რომ ამას მოახერხებს, თავისთავად დამაინტრიგებელია.

ყველაფერი კი ასე განვითარდა: ეტყობა, დაარხეინებულმა თსუ-ელებმა იფიქრეს, სტუ-ს ახლავე ავუგებთ წესსო და მოუმზადებელ ტყორცნებს მიჰყვეს ხელი. თითქოს სადმე ეჩქარებათო, ნიკორელები შეტევისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე გვარიანად ადრე ტყორცნიდნენ ბურთს და როცა მიზანი ღალატობდათ, მეტოქე აღარ პატიობდა.

ირაკლი კეიდიამ და ლუკა შანიძემ შორიდან, შიო ხეცურიანმა კი სწრაფი გარღვევებით იმდენი ქნეს, რომ ანგარიშში სხვაობა ცხრამდე შეიკვეცა და ტექნიკოსებიც გადამწყვეტ ათწუთეულს იმედიანად შეეგებნენ — 60:71.

ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა ათ წუთში სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, თუმც შესვენებაზე შეფუცხუნებული თსუ-ელები უფრო პრაგმატულად ათამაშდნენ და მატჩის მიმდინარეობაც სათავისო კალაპოტში ჩააყენეს. მიხეილ ფანჩულიძემ, რომელიც დებიუტშიც ქებულად თამაშობდა, ბოლო მეოთხედში 10 ქულა მიაშველა თავისიანებს, იქით მუშკუდიანი გამაგრდა ტექნიკოსთა ფარქვეშ და სტუ-ს ვითომ შემოტრიალებული მატჩიც თსუ-ს იოლი გამარჯვებით, 97:80 დასრულდა.

ამის შემდეგ აუტსაიდერები შეერკინენ ერთმანეთს — ისრაელიდან მობრუნებული „მაკაბი" სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შეხვდა და იოლად დაამარცხა.

ისიც სათქმელია, რომ მაკაბელებს უმწვრთნელოდ მოთამაშე სოხუმელების გასატეხად მთელი სამი მეოთხედი დასჭირდათ. სსუ ყოველი მეოთხედის შემდეგ იგებდა, სანამ გადამწყვეტი ათწუთეული არ დაიწყო. აი, ბოლო პერიოდი კი მაკაბელთა სრული განავარდებით წარიმართა და საბოლოოდ სოხუმელებმა დიდი ანგარიშით წააგეს.

მესამე მეოთხედის შემდეგ სსუ 59:58 იგებდა და, ცხადია, გამარჯვებასაც გეგმავდა. თუმც ბოლო ათწუთეულში მაკაბელებმა ისე მოინდომეს, რომ საწყისი 4 წუთი 17:0 მოიგეს და ყველაფერიც აქ გადაწყდა. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა უპირველესად მეფარეების დახმარებით იმარჯვა — გიორგი შერმადინს, გივი ვაშაკიძეს და ვანო აბულაძეს სოხუმელებმა ვერაფერი მოუხერხეს.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ტონი პარკერი (№9) „საკრამენტომ" ვერაფრით ვერ გააჩერა

# ბიბი — დამარცხებულთა გმირი

**ფილადელფია 103:91 ნიუ ორლეანი**

**ფილადელფია:** აივერსონი (24 ქულა, 9 პასი), სალმონსი (19 ქულა), ვებერი (15 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (20 ქულა, 9 მოხსნა), ჯ. სმიტი (17 ქულა), კლექსტონი (15 ქულა)

**იუტა 100:80 მილუოკი**

**იუტა:** გირიჩეკი (18 ქულა), ოქური (16 ქულა, 8 მოხსნა), დ. ბრაუნი (12 ქულა, 6 მოხსნა)

**მილუოკი:** რედი (25 ქულა), ფორდი (10 ქულა, 7 მოხსნა)

**საკრამენტო 93:96 სან ანტონიო**

**საკრამენტო:** ბიბი (33 ქულა), ველსი (18 ქულა, 14 მოხსნა), გარსია (12 ქულა)

**სან ანტონიო:** პარკერი (23 ქულა), დანკანი (22 ქულა, 19 მოხსნა, 4 დაფარება), ჯინობილი (12 ქულა)

**გოლდენ სტეიტი 100:97 ნიუ ჯერსი**

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (25 ქულა), ფიშერი (22 ქულა), მერფი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (23 ქულა), კრსტიჩი (21 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი)

**გუშინ** ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას უდავოდ დასავლეთ კონფერენციის ბოლო წლების ორი გიგანტის — „საკრამენტოსა" და „სან ანტონიოს" დაპირისპირება იქცევდა.

თუმც უნდა აღინიშნოს, რომ კრის ვებერის წასვლის შემდეგ კალიფორნიული „საკრამენტო" ძველებურად ვეღარ ჩაუქობს — შარშანდელ პლეი ოფში პირველივე წრეში წააგო სიეტლთან და ეს სეზონიც არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო.

„სან ანტონიო" კი თანდათანობით შედის ფორმაში და იმ ავანსებსაც ამართლებს, რაც სეზონის წინ სპეციალისტებმა ამ ტეხასურ გუნდზე გასცეს — გარდა იმისა, რომ ის მოქმედი ჩემპიონია, გრეგ პოპოვიჩის გუნდი წლეულსაც ჩემპიონატის მოგების მთავარ ფავორიტად გვევლინება.

„სან ანტონიო" გუშინდელ მატჩშიც თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და თავისი თამაში იოლად მოახვია თავს „საკრამენტოს", რომელსაც ხელის თითის ტრავმის გამო სერბი ლიდერი პეჯა სტოიაკოვიჩი აკლდა.

ტეხასელების რიგებში, როგორც ყოველთვის, ტიმ დანკანი გამოირჩეოდა, რომელმაც კიდევ ერთი შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი ჩაიწერა აქტივში (22 ქულა, 19 მოხსნა).

გარდა ამისა, სეზონის სტარტზე კარგად გამოიყურება ტეხასური გუნდის ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი, რომელმაც ამჯერადაც ფარქვეშ სწრაფი შესვლებით გაუშრო სისხლი „საკრამენტოს" დაცვას.

ტეხასელები თანდათანობით ზრდიდნენ უპირატესობას და მეოთხე მეოთხედის საწყის წუთებში 17 ქულით დაწინაურდნენ. აქ ლიდერის ფუნქცია თავის თავზე აიღო „საკრამენტოს" გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ, რომელმაც თავისი 33 ქულიდან 14 სწორედ უკანასკნელ პერიოდში ჩააგდო. მისი მეცადინეობით თამაშის დამთავრებამდე 27 წამით ადრე კალიფორნიელები სამი ქულითღა ჩამორჩებოდნენ მეტოქეს — 96:93. ამის შემდეგ „საკრამენტომ" ბურთი დაიბრუნა და ბოლო შეტევის შანსიც მიეცა, რომ მატჩი ოვერტაიმში გადაეყვანა, თუმც იგივე ბიბის ბოლო წამზე ნატყორცნი სამქულიანი აცდა მიზანს და „სან ანტონიომაც" ზედიზედ მეოთხე მოგება ჩაიწერა აქტივში.

„ბიბიმ კინაღამ მარტომ მოგვიგო", — თქვა „სან ანტონიოს" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა, რომელიც თავისი გუნდის ბოლო მეოთხედში თამაშით აშკარად უკმაყოფილო იყო.

რაც შეეხება „საკრამენტოს", წლეულს შინ ჩატარებული მეექვსე მატჩიდან მესამე წააგო.

სხვა შეხვედრებიდან გამოსაყოფია „გოლდენ სტეიტის" გამარჯვება „ნიუ ჯერსისთან", რომელმაც წაგებასთან ერთად თავისი ერთ-ერთი ლიდერი ვინს კარტერი დაკარგა ზურგის ტრავმის გამო.

ამ შეხვედრაში „გოლდენ სტეიტის" გამარჯვება მისი სათადარიგოების, კერძოდ ვეტერანი დერეკ ფიშერის კარგმა თამაშმა განაპირობა.

მოიგო თავისი შეხვედრა ალენ აივერსონის „ფილადელფიამ", რომლის მსხვერპლიც ამჯერად „ნიუ ორლეანი" აღმოჩნდა. აივერსონი კვლავ საუკეთესო იყო თავის გუნდში (24 ქულა).

დაბოლოს, როგორც იქნა, იმარჯვა ანდრეი კირილენკოს გარეშე დარჩენილმა „იუტამ", რომელმაც შეტევაში ნორმალურად ითამაშა და ბოლო სამი შეხვედრისგან განსხვავებით, 100-ქულიან ზღვარს მიაღწია.

**კახა ლომაშვილი**

# რეზერვმა კიევში ევროპულ ტატამზე დაგვაიმედა

## ქართველთა ერთი ოქრო და სამიც ბრინჯაოს მედალი

*უკრაინის დედაქალაქმა 23-წლამდელ გოგონათა და ვაჟთა ძიუდოისტების ევროპის პირველობას უმასპინძლა. კიევში საქართველოს ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას ბეთქილ შუკვანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), ოთარ ახალაია (73), საბა გავაშელიშვილი (81), ლევან ჟორჟოლიანი (90), რევაზ ჩიკოიძე (100) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) იცავდნენ. მათგან ოთხმა წარმატებით იასპარეზა. ზაზა კედელაშვილი, საბა გავაშელიშვილი და ლევან ჟორჟოლიანი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ, ლაშა გუჯეჯიანმა კი ოქროს მედალი მოიპოვა*



ლაშა გუჯეჯიანი

**კიევში** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამოსვლა, რა თქმა უნდა, წარმატებულად იყო, თუმცა, მეტიც შეიძლებოდა — გუნდის ერთ-ერთ ლიდერ ზაზა კედელაშვილისგან მწვრთნელები მხოლოდ ჩემპიონობას ელოდნენ, მაგრამ...

*ზაზა კედელაშვილი:*

„ისე მოხდა, რომ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ბრმა ნაწლავი ამტკივდა. ამან ჩემი ტატამზე გამოსვლა სათუო გახადა. ექიმთა ჩარევის შედეგად ევროპის პირველობაზე მაინც ვიჭიდავე. თუმცა ავადმყოფობამ ჩემს გამოსვლას, დაღი დაასვა.

ამის მიუხედავად, მწვრთნელები ჩემგან მხოლოდ ჩემპიონობას ელოდნენ, მითუმეტეს პირველი ორთაბრძოლა საკმაოდ უხერხულ მეტოქეს, რევაზ ზიდირიდისს მოვუგე, მაგრამ ფინალში გადასასვლელ ორთაბრძოლაში რუს ალინ გადინოვთან დავმარცხდი.

ჩემი აზრით, ამ შეხვედრაში მსაჯმა დამჩაგრა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ფინელ ნიენელას იოლად მოვუგე. ჩემს მიმართ არაობიექტური მსაჯობა რომ არა ჩემპიონი, აუცილებლად გავხდებოდი".

რაც შეეხებათ დანარჩენებს, საბა გავაშელიშვილმა ბრინჯაოსთვის გადამწყვეტი ოთაბრძოლა სლოვაკ მილან რანდრის მოუგო, ლევან ჟორჟოლიანმა იტალიელი ბრუნო ტომაზეტი დაამარცხა, აი, ჩვენს ჩემპიონს კი ფინალის ჩატარება აღარ მოუწია, რადგან იტალიელმა ალესანდრო სეზამ ტრავმის გამო უარი თქვა ჭიდაობაზე.

კიევში გუნდს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი *შოთა ხაბარელიც* ახლდა და ბრძოლებს უშუალოდ აკვირდებოდა.

ნაკრების თავკაცი გუნდის გამოსვლით კმაყოფილია:

„გუნდში ორი პოტენციური ლიდერი, ზაზა კედელაშვილი (66) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) იყო. ლაშამ მაქსიმუმი აჩვენა და ჩემპიონი გახდა, ზაზა კი ნამდვილად დაიჩაგრა. მას ჯერ ავადმყოფობამ, შემდეგ კი არაობიექტურმა მსაჯობამ შეუშალა ხელი. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ზაზა თავის წონაში ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეულია.

საერთო ჯამში გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ბიჭების უმეტესობა ძალიან ახალგაზრდაა და მათთვის ტურნირზე მიღებული გამოცდილება უთუოდ სასარგებლო იქნება".

რაც შეეხებათ გოგონებს, რომელთა ძიუდოც ახლა ვითარდება საქართველოში, ისინი უმედლოდ დარჩნენ თუმცა *დუსკა ქერიმოვამ (52), ნათია ოძელაშვილმა (63), თინათინ ქულოსაშვილმა* და *ირინა ლეონიძემ (მძიმე)* ბოლომდე იბრძოლეს და დიდი გამოცდილებაც მიიღეს, რაც, იმედია, მომავალში სასიკეთოდ წაადგებათ.

**ლექსო მაისურაძე**



# ბრიტანული ხუთი რგოლი ირღვევა

**დიდი** ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ მოუწოდა შოტლანდიას, რათა „გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება", რომელიც უკავშირდება 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მის დამოუკიდებლად გამოსვლას. როგორც დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მეთაური საიმონ კლეგი ამბობს, იგი ძველებურად ფიქრობს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე დიდი ბრიტანეთის ფეხბურთელა ნაკრები ერთიანი გუნდით უნდა გამოვიდეს.

ამ იდეას მხარს უჭერს ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ასოციაციები, ხოლო უელსისა და შოტლანდიისა წინააღმდეგნი არიან.

„შოტლანდიელებისა და ვალიელებისთვის ჩვენი კარი ძველებურად ღიაა, მაგრამ მათი პოზიცია ჩვენ გვაწბილებს", — თქვა კლეგმა.



21 ნოემბერი

**ედმონტონი 2:1 სან ხოსე**

*0:0 1:1 0:0 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

0:1 მარლო (27), 1:1 რიზონერი (40), 2:1

გადამწყვეტი ბულიტი: რ. სმიტი

**კოლორადო 2:3 კალგარი**

*0:2 1:0 1:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 რიჩი (6), 0:2 მაკდონალდი (13), 1:2 ტარჯონი (34), 2:2 ბლეიკი (50), 2:3

*გადამწყვეტი ბულიტი: ამონტე*

**„კალგარის"** გამარჯვების სულისჩამდგმელი მეკარე ფილიპ სოვი გახდა. წინა სეზონში მეტწილად „კოლორადოს" სათადარიგოთა სკამზე რომ იჯდა, ეტყობა, კარგად აკვირდებოდა გუნდის ლიდერების ფინტებს. ამიტომაც ბულიტების სერიაში ჯო საკიკის, მილან ჰეიდუკისა და ალექს ტანგეის დარტყმების მოგერიება აღარ გასჭირვებია.

**დეტროიტი — ნეშვილი**

*გადაიდო*

**ნჰლ-ს** თამაშების გადადება იშვიათი როდია. წლეულსაც გვახსოვს ორი ასეთი შემთხვევა. თუმც აქამდე ეს სტიქიური უბედურებისა და უამინდობის გამო ხდებოდა, რაც წინასწარვე იყო ცნობილი. აი, მატჩის მსვლელობისას გაჩერება და მისი გადადება კი ნამდვილად ახალი ამბავია. თუმც „დეტროიტის", და „ნეშვილის" თამაში სერიოზული მიზეზის გამო შეწყდა: შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, მე-8 წუთი მიმდინარეობდა, როცა „დეტროიტის" სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ირჟი ფიშერმა მოულოდნელად გონება დაკარგა.

როგორც აღმოჩნდა, ჰოკეისტს გულმა უმტყუნა და მდგომარეობიდან გამოსაყვანად ხელოვნური სუნთქვისა და სათანადო სამედიცინო აპარატურის მოშველიება გახდა საჭირო.

ცხადია, ამის შემდეგ თამაშისთვის აღარავის ეცალა. ყველანი მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რა ამბავს შეიტყობდნენ საავადმყოფოდან (ფიშერი იქ გადაიყვანეს). ჰოკეისტები და ქომაგები იქამდე არ დაშლილან, სანამ არ გამოაცხადეს, რომ ფიშერის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

„ყველას ძალიან გაგვიკვირდა. უცბად შევამჩნიეთ, რომ ირჟი ბორტსა და სათადარიგოთა სკამს შორის უგონოდ იწვა. თავიდან ვერც მივხვდით, რა ხდებოდა. ასეთი რამ არასდროს გვინახავს. ამბობდა გაოგნებული „დეტროიტის მრავალნაცადი კაპიტანი სტივ აიზერმანი.

აღმოჩნდა, რომ ფიშერს ადრეც ჰქონია პრობლემები გულთან. ჯერ კიდევ 2002 წელს მან ორი ვარჯიში გამოტოვა ამის გამო. მაშინ ჰოკეისტს მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მთლად ყველაფერი წესრიგში არ ყოფილა. მას მცირე ხნით გული გაუჩერდა...

![NHL]

# რეგულარული ჩემპიონატი

# რა დროს ჰოკეია...



AFP დენვერიდან

ტონი ამონტეს (№10) „კოლორადოს" კარში გადამწყვეტი ბულიტი გააქვს

**საუკეთესო შემტევი მცველი გახდა**

**თავის** დროზე ლიგამ სპეციალურად შემოიღო კვირის და თვის ლაურეატისთვის ორი პრიზი, რათა საუკეთესო შემტევი და დამცავი გამოევლინა.

ცხადია, პირველი ფორვარდებისთვის, ხოლო მეორე მცველისა თუ მეკარისთვის იყო გამიზნული, მაგრამ გასულ 7 დღეში ლიგის ყველა ფორვარდს მცველმა, ტორონტოელმა ბრაიან მაკეიბმა აჯობა.

კანადური კლუბის უკანახაზელმა უაღრესად ნაყოფიერად ჩაატარა კვირა და სამ მატჩში 7 (3%4) ქულა მოაგროვა, საუკეთესო კი მისთვის „რეინჯერსთან" თამაში (2:1) გახლდათ, რომელშიც ორი შაიბა მიითვალა.

ტორონტოელს ამჟამად მცველთა შორის ბადალი არ ჰყავს და 21 მატჩში მოგროვილი 30 (9%21) ქულით ის ნებისმიერი ფორვარდისთვის შესაშურ შედეგსაც აჩვენებს.

რაც შეეხება საუკეთესო დამცველს, ეს წოდება „სენტ ლუისის" ახალბედა მეკარე კერტის სენფორდს ერგო. ფარმკლუბიდან ესესაა გამოძახებულმა მეკარემ თავის პირველ ორ თამაშში ორჯერ მოაგებინა გუნდს და მხოლოდ ორი გული გაუშვა.

**ოვეჩკინს სამშობლოში უჩივიან**

**სანამ** ალექსანდრ ოვეჩკინი ჩრდილოამერიკელ, განსაკუთრებით კი ვაშინგტონელ ქომაგებს ახარებს, სამშობლოში, რუსეთში, ფორვარდს არასასიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ. მისმა ყოფილმა კლუბმა, მოსკოვის „დინამომ", საჩივარი გააშანშალა.

იგი ამტკიცებს, რომ კლუბს ჯერ კიდევ აქვს გარკვეული უფლებები ოვეჩკინზე და „დინამომ" უკვე მიმართა აშშ-ის სასამართლოს.

საქმე ისაა, რომ ზაფხულში ოვეჩკინმა ომსკის „ავანგარდთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ მისმა ყოფილმა კლუბმა „დინამომ" ამ ხელშეკრულების თანაბარი პირობები შესთავაზა ჰოკეისტს და ამით დაიბრუნა უფლებები ოვეჩკინზე. შემდგომში დინამოელთა უფლებები რუსეთის ჰოკეის ფედერაციამაც დაამტკიცა. ამიტომაც ახლა „დინამო" ითხოვს, ან ოვეჩკინი დაუბრუნონ, ან ფულადი კომპენსაცია მისცენ.

ნჰლ-ში არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ვაშინგტონმა" წესების სრული დაცვით შეიძინა ფორვარდი და რუსულ კლუბს საქმის მოგების არანაირი შანსი არა აქვს.

„აბსოლუტურად არ მეპარება ეჭვი, რომ „ვაშინგტონი" შეინარჩუნებს უფლებებს ოვეჩკინზე. ალექსანდრე დრაფტზე იყო აყვანილი. მას იმ მომენტისთვის მოქმედი კონტრაქტი არ ჰქონდა. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, აშშ-ის სასამართლო მხარს დაუჭერს „ვაშინგტონს" — თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ.

**სამველ ლარიბიანი**



# ბაია, მათი ბაია

ხალისობაა ბრაზილიურ სალვადორ და ბაიაში, სადაც ფრანგულ ლე ავრიდან დაძრული ტრანსატლანტიკური რეისი სრულდება. ეს გოგოები, ან ლიარო და მირანდა მირონი მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ ხალისი გაწეული შრომის შემდეგ დიდია. ბრაზილიელი ზანგუშკები კი ყოველთვის იცინიან.




# ჰაერში

ტანვარჯიშში და ჰაერში გაჩერებული ფინელი იან ტანსკანენი: მელბურნში 38-ე მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს.

# ვითომ ლორდები

პრომოუტერმა ფრენკ უორენმა სწორედ გასულ კვირაში ჩაატარა ტიტულთა გამაერთიანებელი ბრძოლა სუპერ საშუალო წონაში ჯო კალზაგესა (მარჯვნივ) და ჯეფ ლეისის შორის. რახან ამბავი ლონდონში იყო, გაქნილმა ფრენკმა მოკრივენი ინგლისელთა ლორდებად შემოსა.




# დიეგო ბიჭებთან

დიეგო მარადონა რომ ყატარს იმყოფება იქ სპორტული აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით, ცნობილი ამბავია. ამ ჯერზე დიეგო ერთ-ერთ კლუბში ფანებს შეხვედრია და იქაური თავსარქმელიც შეუხამებია ძვირფასი „ელ ჩეს“ მაისურისთვის.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დკალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ ჭერუთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge